

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 22

2020



მთ. რედაქტორი

ზაჟრ ამილახვარი

სამართლის დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს
მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცენსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. აოლიბაოვისაძის №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-829-8 (22 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირნება-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინისა“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენისგის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მოერალია მეცნიერთა და საზოგადო მოდვარია საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაპადემია ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუხრალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მგრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპახე, კოეჭმა ოქროს საღმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონინდები სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრიპისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულივან შესტრი ყოველ ქაბას, ყოველ ძაბაბას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

ვაჟა ეგრისელს სიკვდილის დროს ესმის ანგე-
ლოსთა გალობა, ანათებს ვარსკვლავი. „იღიმის უფა-
ლი, არსთა განმრიგე“ და რაც არ უნდა მოხდეს, მა-
ინც პოეტს ღრმად სჯერა, რომ სიკვდილით სიცოც-
ხლე იბადება:

„ირევა მკვდრები და ცოცხლები...
ეამი კი დღეების,
ცოცხებით –
ყველაფერს დამისკენ მიცოცხავს,
სიკვდილი? – საწყისია სიცოცხლის“.

პოეტის მედიტაციები უცნაური ხედვათა გალე-
რეა, რომელსაც ვერასოდეს ვერ მიწვდები, ვერ გა-
იცნობიერებ. მზეგადასულთა და ამქვეუნიურთა სა-



კითხი ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა ვაჟა ეგრი-სელის პოეზიაში. ეგრისელის პოეტურმა სიმაღლემ განჭვრიტა სიკადილი. „მართალგანკითხვის სიღრმე“, „ყოფნის უფსკრული“ (დაწევ ალეგორი).

„განათდა სიურცე –
მიგვანიშნა ყოფნა უფალმა,
მერე არყოფნის აიფარა მტვერი და ნისლი,
ზღვის მკერდზე მაშინ აქნო ბორცვი
და ზეციური
მთვარის მშვილდივით
ელვარე ისრებს,
წვიმის ქურდ დრუბლებს სტყორცნის
და სტყორცნის“.

ან:

„ცუდი არაფერია ამაში,
ამ ტიალ წუთისოფლად,
სიცოცხლე –
სიკვდილთან თამაშში,
წუთშესვენებას რომ იღებს
და ჩვენ მას ვეძახით
ყოფნას“.

ეს ლექსი ვაჟა ეგრისელის ყრმობის დროინდე-ლი ლექსია, ამჯერად პოეტმა ყოფნის ცნება შემოგ-



ვთავაზა და იგი მხატვრული აზროვნების თვალწარმტაც საბურველში ჩასვა – ესააო წუთშესვენება სიცოცხლის და სიკვდილის გაუთავებელ ურთიერთჭიდილში.

და თუ საერთოდ ყოფნა და არყოფნა, მყოფობა და არმყოფობა ერთმანეთს უერასდროს ასცდებიან პოეტის ლირიკულ ხილვებში ზოგჯერ ისინი თანამდევ ფენომენებად აღიქმებიან, რომელთა შორის პარალელის გავლებაც კი შეიძლება:

„ყოფნა არყოფნის შუა პარალელს
მუდამ ვავლებდი.

სმები, ვით

ადრე მიიღიან აღმოსავლეთით.

მაგრამ შენ, პეტ!

ბედი ხარ თუ ბედის ვარსკვლავი,
დღიოთდღე მიხვალ სადღაც დასავლით!

ვაჟა ეგრისელის ლექსებში გამუდმებით მოგვესმის არსებობისათვის ბრძოლის ყიჯინა, არყოფნის დამამხობელი ზარებიც რეკენ და ყოფნას და არყოფნას ერთი ნაბიჯი პყოფს. ნაბიჯს აქეთ სიცოცხლის ქუხილია, ნაბიჯს იქით კი „სიწყნარე“ პირველყოფილი...

ცნობილი პროფესორი ბადრი სალუქვაძე წერს:
„თუ გულისყურით უსმენ ვაჟა ეგრისელს, მისი ლექ-



სები ფილოსოფიურად განგაწყობს და სიბრძნის ბილიგზე გაგიყვანს.

ღმერთო ჩემთ! ვინ მოთვლის რამდენ ადამიანს დაუნახავს დასავლეთ საქართველოს სოფლის ორ-ლობეში სარზე ჩამოცმული ჯაგლაგის გამხმარი თავის ქალა. მე არ ვიცი, ვის რა ასოციაცია აღეძრა მის დანახვაზე, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ვაჟა ეგრისელმა ერთი კალმის მოსმით პატარა, მაგრამ დრმა ფილოსოფიური შედევრი შექმნა:

„...სარზე ჩამოცმულ ბედაურის
თავის ქალიდან –
ცივი ჭიხვინი ისმის არყოფნის“!

ალბათ ამაშია ნამდვილი პოეტების გენიალურობა და ამით, ისინი განსხვავდებიან ჩვენგან. მეტაფოზიკურად მოაზროვნე ადამიანები სხვა სუბსტანციით არიან შექმნილი და სხვა განზომილებაში აზროვნებენ. სწორედ ამიტომ ხდება, რომ სადღაც სოფლის მიგდებულ შუკაში, სარზე ჩამოცმული ცხენის თავის ქალის დანახვაზე, სალვადორ დალისეულ სიურრეალიზმში ამოგვაყოფინებენ თავს და პამლეტისეულ დილემის „ყოფნა-არყოფნის“ ყულფსაც ჩამოგაცმევენ კისერზე“.

„ჩვენი ყოფნის მდინარეები ზამთარ და ზაფხულშიგ იქცევიან“ – ბრძანებს პოეტი. არყოფნა უკიდეგა-



ნო ზღვად დაგვიხატა. ყოფნა-არყოფნის საკითხებზე
ვაჟა ეგრისელს ურიცხვი ლექსი აქვს დაწერილი,
მათ შორის უნდა გამოვარჩიოთ „სიცოცხლის კარ-
თან“, „არ ჩაგთვლიმოს“ და უსათაურო ლექსები: ‘ცა
თავს გგაწონებს ვარსკვლავების ოქროს ბეჭდებით“.
„თუმცა სიცოცხლე ასე ტკბილია“, „აქ ყველაფერი
თავისას ითხოვს“.

მართლაც რა შთამბეჭდავი სურათია („სიცოც-
ხლის კართან“) ბავშვს ჯერ მზის სინათლე არ უხი-
ლავს და იქვე ჩასაფრებული, მოდარაჯე სიკვდილი
მას თავის ბრჭყალებს ასობს, ბავშვი ტირის... აქ
ყოფნა ბავშვის ტირილით დაგვიხატა პოეტმა, ხოლო
არყოფნა კი საოცარი მეტაფორით წარმოგვიდგინა:
„ნაკვერჩხალივით უელავს თვალი, დარჩენილი აქვს
ცასავით პირი“. ხოლო უსათაურო ლექსში „ცა თავს
გგაწონებს ვარსკვლავების ოქროს ბეჭდებით“, ყოფ-
ნა-არყოფნა იმ რიგშია ჩაყენებული, რომელშიაც
გზა-უგზო და კვალი-უკვალო სუფევენ და სულჩად-
გმულნი, მაგრამ „ბაგით მდუმარით უფალს შესტირი-
ან“...

აქვე მიზანშეწონილად მიმაჩნია მოვიტანო ერთი
ლექსი, რომელშიც დასმულია სიკვდილ-სიცოცხლის
მწვავე პრობლემა და ასევე მონიშნულია სხვა უფრო
გამოსარჩევი თემაც:

„აქ ყველაფერი თავისას ითხოვს,
სიცოცხლეს ითხოვს –



სიკვდილის შიში,
მსხვერპლს –
ცივ ლულიდან ნატყორცნი ჭურვი,
სიმაღლეს –

ჩემი ქართული ჯიში...
პური შია და ციცქა
კუჭი უხმება

შიმშილს,
წყალი სწყურია ხახამშრალ წყურვილს.
აქ ყველაფერი თავისას ითხოვს“.

და მაინც, ადამიანის უკვდავების იდეა რწმენითა და იმედით ავსებს პოეტის სულს და მისი ცხოვრების წესის გადასხვაფერებაც ხელეწიფება. უსაზღვროა პოეტის მისწრაფება ჩასწვდეს, შეიმუცნოს და ამოქსნას კითხვის ნიშნებით დასერილი მიღმური სამყარო. ალბათ ამიტომაც ასე სათუთად და მოკრძალებით უსმენს პოეტი „დამის ოქტავას“.

„ყოფნა-არყოფნის სადარბაზოდან
ჩვენ ჩუმად ვისმენთ
დამის ოქტავას,
ჟამი მაღულად მოაგელვებს
დღეთა თეთრონებს,
და ამ ხმაურში გვავიწყდება
ზოგჯერ მოკვდავებს:



სიცოცხლე არა, სიკვდილია თანამდროვე“.

დიდი გალაკტიონი წერდა: „ჩვენი სული იღვიო-
ძებს და მზად არის ისევ აანთოს ჩამქრალი და და-
ფარული სიამაყის სანთლები“ და ბოლომდე ეღვიძა,
ბოლომდე კაშკაშებდა, ბრდდვიალებდა მისი სანთლი.

ვაჟა ეგრისელის პოეტური სული ჭეშმარიტი გა-
მოღვიძების ტრფიალია, ღრმად სჯერა და სწამს,
რომ მხოლოდ მაღალი გონის ადამიანებისათვის არ-
სებობს გაღვიძებული სულების სფერო და პოეტიც
მთელი არსებით ისწრაფვის:

„ჩემი სიცოცხლის მაღალ გოდოლზე
ვანთებ და ვანთებ
სულს, როგორც კოცონს“.

ან:

„დღისით და დამით მთვარეა,
ჩემი სულთქმა
და იდილია.
ღმერთო მაღალო!

—
„სპეციალურის ჭერს
ამარიდე.
სიცოცხლე არა!
სიკვდილია
მარადიული და ჭეშმარიტი“.

(„მარადიული და ჭეშმარიტი“).

ვაჟა ეგრისელის მეტაფორული სასწაულების ახსნა ერთობ ძნელია, რამეთუ მისი სულიდან იყრევევა ზღაპრული, არამიწიერი ხილვები, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ვაჟა ეგრისელის შემოქმედება მარადიული ქართული სულია, უფრო მეტიც „ვაჟა ეგრისელი ლექსების წინამდებარე ახალი წიგნით ქართული ლირიკული პოეზიის ედემისებურ ბალში შემოდის როგორც პოეტი გამოცანა. პოეტი მოვლენა, პოეტი ნოვატორი. – წერდა პროფესორი აკაკი თოფურია 1991 წელს, სტატიაში „ნოვატორული ძიების გზით“.

ვაჟა ეგრისელი ვერ პგუობს მოცულობით სიხალვათეს, მისი ყოველი ლექსი გულს წვდება და სულს გიფორიაქებს, გმოძღვრავს, რომელიც მეგრულ „ნანასავით“ ნაზი და ალერსიანია, ხან გურულ „კრიმანჭულივით“ სხარტი და მოქნილი, ხან კი აბობოქრებული, მაგრამ მტკიცე და გამაფრთხილებელი.



ვაჟა ეგრისელის სიცოცხლის მიზანი საკაცობრიო იდეალებია. პოეტს კარგად ესმის რომ სამყაროში მუდმივი ჭიდილია ბოროტსა და კეთილ ძალებს შორის, რომ ცხოვრება ნათელი და ბნელი ძალების დაპირისპირებაა, მაგრამ პოეტი იმედით, რწმენით, ოცნებებით ამარცხებს ბოროტ ძალებს. დიახ, იმედი ერთადერთი გზაა ჭეშმარიტი მომავლისაკენ:

„სულ უმიზეზოდ და სულ უბრალოდ,
ბევრჯერ სიმაღლე,
უქციეს სისქედ,
ქვამარილივით ჩემი რწმენა
ბევრჯერ დანაყეს
და მაინც მუდამ მიიწევს
ცისქენ
ბუხრიდან ამოსულ კვამლივით –
ამაყი“.

და აქვე გაიელვებენ გულისშემძვრელი სტრიქონები: „ვარსკვლავებზე კოლხური დამე შიშინებდა“ და უნებურად გიჩნდება სურვილი მოკრძალებითა და მუხლზედაჩოქილმა თქვა მარადიული ლოცვა „არყოფნის მაღალ აიგანზე დამსხდარ აჩრდილებზე“. ვაჟა ეგრისელის პოეზიაში სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა გადაწყვეტილია ორიგინალურად. მისი სიტყვა სიკეთესა და სათხოებას, სიყვარულს



ემსახურება. მხოლოდ სიყვარულშია სიცოცხლე და
უკვდავება:

„რა საჭიროა დიდრო და კანტი,
წუთისოფელი რომაა ფლიდი.
ჩენს აქ ყოფნას, რომ არყოფნით
ნაღმავს.
მაგრამ სიცოცხლით, – ამ ბეწვის ხიდით,
უნდა გავიდეთ სიკვდილის – გაღმა“.

ვაჟა ეგრისელის პოეზია ჭეშმარიტი ოდაა სი-
ცოცხლესა და სიყვარულზე. პოეტმა სძლია სიძულ-
ვილს, სძლია სიკვდილსა და ბოროტებას. „იქმენ ნა-
თელი“ და „კოლხური ფსალმუნების“ 1000-1500-ზე
მეტ გვერდიანი ხუთტომეული სიძულვილზე გამარ-
ჯვებაა. სიცოცხლით ძლეული სიკვდილია და პოე-
ტის მძაფრი სურვილი მაინც გონიერი სიცოცლისა-
კენ სწრაფვაა:

„სანამ სიცოცხლედ თავს დასტრიალებს
მზე –
დედამიწას უქრობ სულივით...
მე ერთაერთი მტანჯაგს სურვილი:
დვთის შთაგონებით და დვთის კარნახით,
დავუსხლტე სიკვდილს, ვით არაგვში
ბადეს კალმახი“.



„უცილო ჭეშმარიტებაა ის, რომ დიდმა გალაკტიონნმა „ცხოვრების ზღვაზე“ აღზრდილი ძლევამოსილი სულით სიკვდილის ტრაგიზმი დაამარცხა და ვარდისფერი სიკვდილის საოცრებას გვაზიარა.

ვაჟა ეგრისელმა სიკვდილი შეიძეცნა როგორც სულის განთავისუფლება, სხვა უფრო მაღალ მდგომარეობაში გადასვლა. აქ არ შეიძლება უნებურად არ გაგვასწენდეს: „საჭიროა სიკვდილი ვისწავლოთ, მთელი ცხოვრება ეს არის და ეს, სხვა არაფერი“.

(„რილქე, მიმი რიმანელს“. ახალი თარგმანები“
თბილისი 1992. გვ. 122).

ვაჟა ეგრისელის პოეტური სული ზეცისკენ ის-წრაფვის და იქ ეძებს ნავთსაყუდარს. პოეტი ნათლად ხედავს ჩამავალი მზის ოქროს მძივებით მორთულ გაფოთლილ ცას, და შემოქმედს მოვარდნილი ‘ფიქრთა ზვირთები მიატივტივებს სადღაც ბოთლივით“.

პოეტი თავის თავს ადამიანთა ბედნიერებას უძღვნის. მზადაა უზენაესი მაგალითისათვის, რათა ადამიანთა მოდგმა მისი სულის რეცხვით განიწმინდოს. მზადაა წინააღმდეგობა პარმონიად აქციოს. შეიძლება გავიმეოროთ მისი საოცრად მზგაობარი სტრიქონები:

„ეს მერამდენე დილა თქნდება



ასე წვალებით,
ვაი-ვინჩრობით,
ვედარ მივაღწევ მე სადამომდის,
დასწუევლოს ღმერთმა!

გწერ და ვიღრჩობი...
ლექსი კი არა, სული ამომდის!..

და მე, მაინც, გოეთე გამახსენდა: ჩვენს თვალებში მზის ნათელი თუ არ დვივის, რანაირად შეძლებდნენ შუქის ხილვას? თუ არ არის ჩვენში ძალა ღვთაებრივის, ყველაფერი ღვთაებრივი რატომ გვხიბლავს!“

გოეთეს ეს სიტყვები ღრმად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ვაჟა ეგრისელის ნავთსაყუდარია ზეციური სამყარო, რამეთუ მზის ნათელით მარცხდება წყვდიადი და:

„მე მოველ შენთან,
უპეთესი ვერავინ ვპოვე...
მზის სადღეგრძელო – შენ უნდა შესვა.
და პკითხა პოეტს:
– სად მიდის ეს გზა? –
შენ რომ ახლა პარალელს ავლებ?
– უკვდავებამდე, მაცხოვარო!
გოლგოთის გავლით...“



ბაჟა გაჟა ებრისელის შემოქმედებაში

ვაჟა ფშაველას შემდეგ არავინ ისე არ მისულა ბუნებასთან, როგორც ვაჟა ეგრისელი. როგორც ლიტერატურათმცოდნენი მიუთითებენ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელის პოეტური ფენომენი, მისი განუმეორებელი ხილვები და მიგნებული სახეები თავად უკიდეგანო პოეზიაა.

დიდი პოეტის სულსა და ნიჭს აქვს სხვადასხვა განფენილობა და ამიტომ მეტწილად მრავალმხრივია მისი შემოქმედება. მკითხველს ხიბლავს ვაჟა ეგრისელისეული აზრობრივი სიმართლე, ჭიდილი ინტელექტისა და ემოციისა, უმეტეს შემთხვევაში ეს ჭიდილი შერიგებით თავდება და სწორედ ამ ორი საწყისის პარმონიით ქმნის პოეტი ბრწყინვალე ლირიკულ ქმნილებებს, რომელთაც სისავსით მოთენობილი უნი, მძაფრი აღტკინება და ესთეტიზმი წარმოსახვის ძალას რომ აღვიძებს. მის ქმნილებებში თანამედროვე ჭეშმარიტი ფილოსოფიისა და რომანტიკოსის რაფინირებული სული იტანჯება, იბრძვის და იღწვის, ამკიდრებს რაღაც ახალს, უჩვეულოს, მონუმენტურ სულიერ ღირებულებებთან ნაზიარებს.

ვაჟა ეგრისელის რწმენით ადამიანი ბუნების საოცრებაა, ადამიანში შეიცნო ბუნებამ თავისი თავი.



ადამიანის შეცნობის თანდაყოლილი წყურვილი
წითელი ზოლივით გასდევს პოეტის ლირიკას. გულ-
წრფელია პოეტი როცა წერს:

„გუშინ იგი გაზაფხულს
მტირალ ცას მოჰყა
და სიყვარულის დადგა ნაპირზე,
გუშინ დაღლილმა სტუმარივით
გაიარა ზაფხულის ბაღში
და გულისყურით მოუსმინა
ხეების ლოცვას,
სხივთა უიველეს
და მზის გალობას.
დღეს მეტად უკვირს,
რომ ასე სწრაფად
ფოთოლცვენის
ჩამოდგა ქამი“.

მაგრამ პოეტი მაინც ძლიერი სულის ადამიანს
ეტრფის, ადამიანს, რომელიც ქამის ბრძანებელია:

„ქამი კი არა,
ქამს შენ ბრძანებლობ,
გეძახის გზები.
სიბერავეს არ ხარ ჩვეული,
ჩაუქრობელი ცეცხლი გედება...“



ვნახოთ!

ო, ვნახოთ
სად მიგვიყვანს
გზა –
არჩეული,
ჩემო მეტრძოლო სულისკვეთებაგ!“

ასევე პოეტმა მხატვრულ ფერებში წარმოგვიდგინა ადამიანის განუწყვეტელი კავშირი ბუნებასთან. თუ ვაჟა ფშაველა ამბობდა: „მონა ვარ მონა ბუნების, ღონე არა მაქვს დავისა“. ვაჟა ეგრისელი ამბობს:

„ტანჯვის გზაზე მდგარ ცხოვრების ხეზე
ვართ მიბმულები
სიცოცხლის თოკით,
და არასოდეს გვინდა აშვება.
მაგრამ ყოველთვის
უცხო თამაშით,
გვინდა,
არ გვინდა
ბედისწერა გვეთამაშება“...

უნატიფესი გრძნობებით უმდერის პოეტი ბუნებას, მისი აზრით, ბუნებასთან უნდა დამკვიდრდეს პარმონიული კავშირი. მისი ხედვა მნიშვნელოვანწი-



ლად ეთანხმება ქრისტიანულ თვალსაზრისს, ის როგორც დიდი ვაჟა-ფშაველა მორწმუნის თვალით უყურებს მთელ სამყაროს. სწორედ ამიტომ პოეტს მთელი კოსმიური სამყარო სისხლხორცეულ ნათესავად აღუქეამს. იგი განცვიფრებულია ბუნების საოცარი სურათით:

„დამე და ცივი მიუსაფრობა,
იდუმალების
მზით დაგმანულ
კარებს აღებენ.
ფიქრში შრიალებს ხე საქსაულის...
ბრწყინავს და ელავს
მთვარის თეთრი ბაირალები
და ვარსკვლავების დღესასწაული.“

საინტერესოა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტის, მხცოვანი მეცნიერის, ბატონი შოთა მისაბიშვილის მოსაზრება ვაჟა გგრისელის შემოქმედებაზე:

„...ვაჟა ეგრისელმა, რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟასა და გალაგტიონის გენით შექმნილი პოეტური წალკოტი – საკუთარი ნიჭით გამოყვანილი სურნელოვანი ყვავილებით დაამშვენა და თავის ტევად ლირიკაში, როგორც მშობელი ერის, ისე კაცობრიობის არსებითად



ყველა ძირითად სატკივარს და საზრუნავს უპოვა
ადგილი“...


პოეტი ბუნებაში უპირველს ყოვლისა ადამიანის ადგილს ეძებს და მაინც უაღრესად რომანტიული და იდუმალებით სავსეა ვაჟა ეგრისელისეული ბუნება ადამიანის სულისადმი თანაზიარობით განსაკუთრებული ხილვისათვის შინაგანი განწყობა დუმილს მოითხოვს და პოეტიც დუმილის გამოხატვის ჭეშმარიტი დიდოსტატია. დუმილის თავისებური აპოლოგია დასავლურ ლიტერატურაში ეგზიუპერის „ციტადელია“.

ციალა მასხია

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – ხახულიშვილი და ფანჯაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



ფსალმუნი

აპძ,

ეს წიგნი, —

ჩემი ფსალმუნი

ფურცლებს კი არა, ცით აკინძულ

ჩემს გულს გადაშლი —

სიყვარულით და

იდუმალი ფიქრით მოცული,

და მეც მუხლმოყრით

შენზე ვლოცულობ,

მზით განათებულ

პოეზიის წმინდა ტაძარში.

1957

ქრისტეს ინიციაციებს

ათასწლეულების მერე,
 ნალურსმანზე ვაფენ იებს
 და „კოლხური ფსალმუნების“
 ოქროს თასში,
 როგორც არითმათიელი¹,
 ისევე ვღვრი ქრისტეს
 ინიციაციებს².

1965

¹ იოსებ ართმათიელი, რომელმაც ქრისტეს
 ჭრილობიდან მომდინარე სისხლი თასში,
 (ბარძიმში) დააგროვა.

² ინიციაციები (ლათ.) საიდუმლოებათა შესრულება.



* * *

ქართლის დიდი წარსული კი –
ათასწლეულების კედლებს
აწყდება ზღვის ბორგვასავით,
ზოგი სახე ზე-ჩანს ალად.
მუზარადზე გორგასლის,
გვ, რამდენის მზე ჩამქრალა.

1992



* * *

ასე იყო:

თვით უფალი,

ადამის ძის ძირად,

ფესვად,

მხენელად ქურდის მომგონს თვლიდა.

თუმც ჯვარზეცმულ

ქრისტეს კვნესა,

ისევ ისმის გოლგოთიდან.

1974



მფგვარი ზამთარში

ერთ პირს წყალიც იძინებსო! –
ამბობს ხალხი,
მაგრამ მის თვალს
აღარ ეკარება რული.
და მცხეთასთან დგება მტკვარი,
ქართულ მიწის და თბილისის
სიყვარულით,
ზეზეულად ჩამომხმარი.

1968



ისეგ ქალდეა

(ვარიანტი)

ეამთა ამღრეულ ოკეანეში,
ათასწლეულთა ხელით ნარწევი,
სამყარო დიდი საქადალდეა,
შიგ დევს ფურცლები –
ოქროდ ნაწერი
და... იქ პირველი არის
„ქალდეა¹“.

1978

¹ ქალდური (ლაზური) – ქართველურ ტომთა ძირი ენა.



ხილვა: ბაბილონი

უფლის ნახვად ასული,
ირყევიან კედლები,
ვითარც ქარში ლერწამი.
განკითხვის დღეც მოვიდა.
ისმის გლოვა,
ვედრება,
ნგრეულ ბაბილონიდან.

1978



* * *

ათა-ბაბადან ასე ყოფილა,
რადგან ცხოვრება დიდი
ომია:
რომ მიწა აღარ დარჩეს ლიობად.
წარსულის ციდან –
გადმოდგომია,
ძველი კოლხეთი –
კაცობრიობას.

1966



გარსპელავიანი ღამე

უეცრად მოვარდნენ ქარები
და ზეცას დრუბლების
ყავარი ახადეს.
(ნეტავი სად იყვნენ აქამდე?!)
და ცვივა ლალი და
სპეკალი,
ბივრიტი, ოქრო და აქატი.

1992



* * *

წინაპრის თვალთაგან ნაშუქი,
 ცეცხლი რომ ციალებს
 გოგირდად,
 კვლავ აფროთხობს ჭინკებს
 და ავსულებს...
 წამით რომ გაცოცხლდეს წარსული,
 გვ,
 რამდენ სიამეს
 მოგვგრიდა.

1978



* * *

კლდექაბს გამოქცეულები,
ეს პატარა ხევ-ხუგები,
გაუხდიათ მოქაბს მონებად.
და ლოდები არაგვისპირ,
ისე ყრია,
ბაბილონის ნანგრევები გეგონებათ.

1979



პოლხა 5185-5120

ასე იყო იდიოთგანავე,
ავი ჟამი მტერს და
ავსულს,
ვითა წურბლებს მოგვაჯენდა...
და... სამყაროც მოგვაჩერდა,
როს კოლხეთი ამოფვინდა –
წარსულის დიდ ოგვაჯედან*.

2009

* ოგვაჯე (მეგრ.) – საბუდარო.



გრაალის ბარძიმი

ცრემლით სავსე სამყარო –
ბობოქარი ზღვა არი...
მძვინვარ საუკუნეებს,
ვითარცა წიგნს გადაშლი
და შენ, გზაზე გოლგოთის –
ეძებ ბარძიმს გრაალის,
როგორც სანთელს ანთებულს, –
რწმენის წმიდა ტაძარში.

1976



* * *

მზემ ჩაიარა...

და ვარსკვლავებით,
ჩუმად ივსება ცის ლურჯი ვარცლი.
წეხან მამლები და ყიფილის ყელს
იღერებენ.
დამე კი მთვარის სავარცხლით
ვარცხნის
ღრუბლებს და..
ცვივა სხივთა დერები.

1968



პიგენის და კოპალის

ცა და მიწა წარსტაცეს
ლაზებსა და პელაზებს,
ღმერთი კი ვერ მოპარეს.
კოლხი ახლაც სანთელს უნთებს –
კიბელებს¹ და
კოპალებს².

1977

1,2. – ძირძველ ქართველ ტომთა დგთაგბები.



* * *

მოვლენ ანგელოზები,
გიმდერებენ „ოსანას“, –
ლოცვითა და
აჯებით.
დრო მოვა და მგოსანო,
უფლის მარჯვნივ დაჯდები....

2008



* * *

ცისქვეშ ათასწლეულები,
ვით ებგური
ან ჩაფრები,
ისევ ისე ერთურთს შეცვლის...
შენი დანთებული ცეცხლი,
არასოდეს არ ჩაქრება.

2005



* * *

ჩემმა კოლხმა წინაპრებმა,

შორეულზე –

შორეული,

გზით იარა და ეხეტა.

(წუთისოფლის იყო მგზავრი).

ნახა ეგბეა და კრეტაც,

თუმც ესმოდა ხმა კერბერის¹

და ბლავილი მინოტავრის²

1968

1 კერბერი (ბერძ.) – მიწისქვეშა სამეფოს მცველი,
სამთავრიანი ავი ძაღლი.

2 მინოტავრი (ბერძ.) მინოსის ხარი, რომელსაც აქვს
ადამიანის ტანი და ხარის თავი.



* * *

ყოვნა,

არყოფნის იდგა მორევი,

მზე შორს ეკიდა,

როგორც ტიარა.

ცა – ვარსკვლავებმა მაღლა ასწიეს

და ერთმა არა,

წარდგნამ ორივემ,

კოლხო! –

შენს გულზე გადაიარა,

მაგრამ გადარჩი,

დღემდე მოხველ და...

მოაღწიე.

1978



* * *

დამის ტოტზე ყორნებივით
 ჩამომსხდარნო,
 ჰე, ღრუბლებო, ასე რატომ
 მებევრებით?!
 ავთა სული, ვითა თქვენი დიან ლეთას*.
 არ ურჩება მიწას წყლული მდინარეთა,
 ცას – ვარსკვლავთა ბერბერები.

1981

* ლეთა (ბერბ.) – ჯოჯოხეთის მდინარე.



* * *

მეცხრე ცაში ბინადრობენ,
(იქ ვერავინ ვეღარ მივა.)
ძირს არცერთი არ ჩამოვა:
აღარც ბუდა,
აღარც შივა,
არც კრიშნა და იეჰოვა.

1984



პოლეთი – 7000

ჩემი დიდი წინაპრის –
ზღვაოსნის და
მოისრის,
დარდი გულს სულ მიღრღნიდა,
ახლაც ჟამთა სიღრმიდან –
ძველ კოლხური გალობა
და სიმღერა მოისმის...


1977



* * *

ცხოვრება ჯოჯოხეთია,
ალბათ უამთასვლამ დარაგვა,
რასაც დაგვპირდა მესია.
სიკვდილი,
სიკვდილს არა ჰგავს,
სიცოცხლე უარესია.

2001



* * *

რომ გვეკლავს სურვილი
 ცაში აფრენის,
 ეგ არაფერი,
 მაგრამ ეს არის უბედურება:
 ყოფნას,
 არყოფნა შეყვარებია.
 ჩვენი დღეები, როგორც ტურები,
 სიკვდილს ჩუმად რომ
 ეპარებიან!!

2003



ევგენია

არც ენქიდუ ჩანს,

არც გილგამეში

და აღარც მათი ბაღი –

კედრების –

საუკუნენი უძლურდებიან.

კოლხთა სულების მესმის

კედრება,

სადღაც, ხმელთაზღვის კუნძულებიდან.

1986



პირველი ძრისტიანი

ის კოდეი იყო პირველი,
უფლის ნათელით
ვინც შეიმოსა.
და ახსოვს ფაზისს,
მტკვარს და ნილოსსაც,
მათ ნაპირებზე
მუხლმოყრილმა,
ვინც რომ იღოცა.

1981



* * *

დაბადებიდან –

ცნობადის ხის იჯექ

ტოტებზე,

ვით მგალობელი ჩიტი –

ჯაფარა.

ცხოვრება გიჩნდა პიტნის ფოთლად

ან დარიჩინად.

მიტომ უფალმა თავის კალთა

გადაგაფარა

და.... უკვდავებას გადაგარჩინა.

2015



* * *

მე,

ვითარც ზღვის ნაშიერი,
 ვთხოვავდი მასზე წრფელ სიმღერებს,
 მისი წყენა არასოდეს
 არ მქონია ფიქრშიც აზრად.
 ახლა ზვირთოთა მუშტს
 მიღერებს,
 ნეტავი, რამ გააძრაზა?!

1969



ორი მტვრი

მოსვლის დღიდან მოყვასის ლანდს
მივსდევთ კუბოს კარამდის,
ცხარე ცრემლით მივტირით.
ადამის ძეს,
ორი მტერი მუდამ ჰყავდა,
დღესაც ჰყავს და ეყოლება –
სიბერე და სიკვდილი.

1998



ხილვა: სინას მთა

ღრუბლებსა და ღრუბლებს შუა,
ჩანდა მთვარის ბოსელი,
უცერო და
შიშნაკრავი.

იქვე,

მთაზე იდგა კრავი
თეთრი შესამოსელით.


1970



* * *

ქარი ქარობას არ იშლის,
ლოდებით ავსებს ხეობებს.
ზღვას ტაბლა უდგას
ქარიშხლის
და გალეშილი ზვირთები –
განთიადამდე დრეობენ...

1976



მიქაელ მთავარანგელოზი

მოკვდავთ ჩუმად გვითვალთვალებს,
მამა-ღმერთი ცაში რომ ზის
და გვახედებს მიტომ
ცისკენ:
მიქაელ მთავარანგელოზი –
იგივე იესო ქრისტე*.

1982

* თესალონიკელები 4:16



* * *

ხმელეთზე ბრაზით ზღვა ამოსულა,
ცა ვეღარ ირჩენს
მნათთა იარებს.
ვზივარ ნაპირზე და ვეღოდები.
ზღვა ფრთამოტებილ ქარით
ორსული.
ქარიშხალს როდის იმშობიარებს.

1964



ამბობს ეპლუსიასტე

მოხვალ,
 წუთისოფელი,
 აღუწერელ სხვა სასჯელს,
 მოსვლისათვის მოგიზდვევს.
 მიტომ ეკლესიასტე ამბობს:
 სჯობსო ათასჯერ –
 „სიკვდილის დღე,
 მობის დღეს“.

1962



პელაზგები და ხეთები

გარსკვლავების ჩირალდნები
უჭირავთ ხელში,
რომ გაგვინათონ დამის
წყვდიადი.
ჩვენი ეთნარქი პელაზგები და
ხეთებია.
და მთელი ღამე მათი სულები –
ჩვენს ქართულ ცაზე
ეხეტებიან.

1968



დ რ უ ბ ლ ე ბ ი

არც დმერთსა და არც კაცს,
 აღარავის ემონებიან
 შავი ღრუბლები,
 ახლა ზღვიდან რომ ამოდიან,
 ღრუბლები არა,
 დემონებია,
 და ცად ილტვიან, რომ გაშალონ
 ფრთები არწივის:
 ადამის მოდგმის ცოდვები რომ
 მიწას აწვიმონ.

1993



* * *

წინაპრებმა დაგიბარეს:

თიბე,

თავზე მოექცი,

პოეზიის მაღალ ახორს*,

შენი ქვეყნის მთა დაბარი

უფრო ვრცლად რომ

დაინახო.

1962

* ახორი — ზვინი, ზვავი, ჯელგი.



* * *

გარდასულთა შფოთავს ქარი,
მისი სუნთქვა დრომ
გერ მოსპო.
და ცაში რომ ციმციმენენ,
ვარსკვლავები კი არადა,
პლავ აუდის მოლიცლიცე
ცეცხლის ალი,
ცად დამარხულ ანგელოზთა –
ძვლების ფოსფორს.

1978



* * *

რა ვუყოთ,

თუ შენს სიმღერებს,

ზოგჯერ ცრემლი ერია.

შენც ისე, ვით ათონსა და

სინას დაყუდებულ ბერებს,

დამ-დამით გიწერია.

2002



ასე იძლება გაშა მგრისელ

(ვარიანტი)

დადგება ქამი,
შენი გვარი და გენეზისი,
ვით მითრიდატე პონტოელის
ზღვას აყრუებდეს.
და შენი ძეგლი მთაზე ეგრისის
იდგეს და კოლხეთს,
ზღაპრულ კოლხეთს
გადაჰყურებდეს.

1980



ხ ს ო ვ ნ ა

ლამეულ ციდან მოვლენ წვიმები,
გამსმარი მოვარე რომ
დაარბილონ.
ბნელში იძინებს ქარის ხელით
ზღვა დარწეული.
წამს მოვა ხსოვნა და გადასწევს
ათასწლეულებს
და გამომიჩენს კოლხთა მიერ
ნაგებ ბაბილონს.

1964



უცლის ნაწერი ჭერილი

იდუმალებით მოცული,
ქარებს ჩამოაქვთ ფიფქებად,
უცლის ნაწერი წერილი:
— ბოლოს სულ ერთად იქნებით
მიწაზე —
ჯვარდაწერილნი.

1996



* * *

დამე ნისლებს მიაბოლებს
და ხეობებს ასდით კვამლი,
რაც რიონის ჭალებს ავლებს.
იღვიძებენ მთები ხვამლის
და სიზმრების ცვივა ხავსი.
ცას აცვია მთვარის ხამლი,
ჩუმად იკრავს ელვის თასმებს.

1971



ხალხური პოეზიის პითხვისას

„ოუბრონე მიღის წყალზედა“
ხალხური

ისმის დევთა დრიალი და,
ეშმაკების ხმა და
როკვა.

წიგნს ჩაგცერი...

და ვით ელდას, –
ტანწერწეტა თებროს ვხედავ,
მხარზე სავსე უდგას კოკა.

1967



* * *

უნდა მოედოს მთათა მწვერვალებს,
ტაიგებსა და გაშლილ
ტრამალებს,
ჩვენი საქმენი – ზღაპრულ ამბებად,
სანამდე ჩვენი შავი სამარე,
ხეთა ფესვებით დაილამბება.

2007



ბაბილონი – ძვ.წ. 529 წლის

5-6 ოქტომბერი

თავს სწირავდნენ მეფისთვის¹,
რადგანაც მათ იცოდნენ,
იყვნენ ჟამთა მდგმურები.
ბაბილონი გამოხვეტეს
ცოცხით –
განადგურების².

1963

¹ კიროსი – სპარსეთის მეფე

² ესაია წინასწარმეტყველი – 14:22,23. (VIII ს.ჩ.წ.წ.)



ა. გ. გ.

* * *

ისე, როგორც
წინანდალში,
სურნელი სცემს
ძველ კოლხური,
გარნას¹ ვარდებსა და იებს:
ბრაჟმანებსა და
ქაშატრიებს,
შუდრებსა და გაიშიებს.

1983

¹ გარნა (სანსკრ.) – ძველ ინდოეთში: საქრთო სახელწოდება ოთხი საზოგადოებრივი ჯგუფისა:



ხილვა: სამოთხის ხე

ბიბლიაში: ზეცას,
 მთვარის –
 თეთრი უჩანს საყელო.
 ვხედავ ევას მომტირალს.
 იმზირება უსახელო,
 სამოთხის ხის ტოტიდან.

1961



* * *

შორეულ ღამიდან მოსული –
დღეები მიდის და
მიცოცავს,
რასაც სილამაზე თოვს ფერებად.
ნუ დაიტრაბახებს
სიცოცხლე,
სიკვდილმა რომ იცის მოფერება.

2008



გარსპოლავების სერობა

ღამეები, ვით ბერები,
 დღის შიშით –
 ერთმანეთს მისდევს...
 ბნელში ჭედს ვიღაცა ლურსმნებს.
 შუაში ზის მთვარე,
 ვით ქრისტე,
 და ვარსკვლავთ სერობას უსმენს.

1964



* * *

საქართველოს ცით გადახურული –
ლექსია შენი
სახლი და ფუძე,
ზედ გაპრულია სიტყვა აბრებად.
სიცოცხლე რაა,
რომ მოკვდე უცებ,
ვიცი,
სიკვდილიც დაეხარბებათ!!

2008



გარევანის გადაფრხვა

გადაუფრინეს ტბას პალიასტომის,
მიწყდა ყაყანი
დამფრთხალ ვარხვების.
მშიერ თვალებით ზღვა იმზირება.
ქარები დამის ტოტებს
არხევენ,
და წყალში ცვივა ვარსკვლავები
მზესუმზირებად.

2004



გაბილონის გოდოლი

უფლის ნახვა სურთ და...

ბაბილონის –

ცამდე აღმართულ გოდოლს

აგებენ –

და კოლხური ისმის ჰანგები.

მოფრინდებიან ჩემთან

ფიქრთა ფარშევანგები

და აიეტის დიდ წარსულში

გამიტყუებენ.

1972



* * *

ცნობადის ხეთა ფესვები –
ძირიან ამოგითხარეს,
„მოკეთეც“ –
ახლა ორგულობს!!
რით გაგაცოცხლო მითხარი,
კოლხეთო! –
წარსულ მოკლულო!!

1963



* * *

მეტეორების გამოქროლება,
მშიშარ სივრცეებს ისევ
აშინებს.
და დედამიწა ღამეებით ისევ
ივსება...
ცა არხეინად მიწას დაჰყურებს:
ყოფნა,
არყოფნის ქუსლით
როდის გაისრისება.

1970



* * *

საქართველო –

ჯვარს გაკრული არის იქსო
 და მის კვართს ჩუმად ინაწილებენ,
 ხმის გამცემი კი არ ჩანს არავინ.
 და ჩვენი „ძმები“,
 ჩვენ – ძირ ქართველებს,
 დიდ ისტორიას ჩუმად გვპარავენ
 და მასთან ერთად წარსულს
 გვართმევენ.

1964



ხ ე ვ ბ ი

მწვანე სინათლეს აშრიალებენ,
მზით და სიცოცხლით
თვალი ევსებათ,
დედამიწაზე მაინც ვერ ძლებენ:
ქვესკნელს ჩადიან ხეთა – ფესვები,
კენჭეროები –
ცას დაეძებენ.

2001



* * *

არესისა და პარას ჭალაში,
ოქროს ბლავილი არ ისმის
ვერძის.

მშობლიურ ცაზე მთვარეებ მიმქრალა.
ღმერთო! –

მიმყოფე სამშობლოს ბედზე,
ყველა ქართველი გულმტკივანი
და მოფიქრალი.

1989



* * *

წამი რაა,

ისიც შუაზე გაგიყო,

წუთისოფელს თუმცა დიდხანს

ედავქ,

მაგრამ ეხლა თუ შენი ხმა ისმინა,

გარსკვლავები ჩაამტკრევენ

ცის მინას

და მოწყალე თვალით ჩამოგხედავენ.

1997



* * *

კუბოებია —

დამეები,

დღეები გულის ბოგინია...

ზეცა —

სარკმელია გადებული.

ცხოვრება —

პატარა ბოგირია,

სიკვდილ-სიცოცხლეს შუა —

გადებული.

1992



რეა-პიგენა

(100 წლის პოეტი მარიკა ბარათაშვილს)

გაიღია წვეთ-წვეთად
ეს ერთი ასწლეული
და მეორეს მიბეჭდავ –
ცისქენ თავაწეული –
ქართველთ რეა-კიბელა*.

2008

* რეა-კიბელა-პელაზგურ-კოლხური დედალვთაება.



* * *

მზის ბაჯაღლო ტახტი უდგას
 და ისვენებს დამით მამა,
 ანგელოზთა არ სდევს იჭვებს.
 ცა ხშირ-ხშირად სტყორცნის
 ელვის წითელ ქამანდს,
 მაგრამ ქუხილს ვეღარ იჭერს.

1986



შოშობა

გადაუფრინეს სოფლის სიმშეიდეს,
მოსდევთ შიმშილი თუ
მოშიება.
და გზისპირ რომ იდგნენ ნაძვები,
შემოესიენ მათ შოშიები
და წამსკე ჩააცვეს ძაძები.

1974



* * *

ნაფეხურები მზის რომ წაშალონ,
 ციდან ჩამოაქვთ ღრუბლებს
 ბინდები.
 ყრია ლოდები, როგორც კუტები.
 ქარიშხლის ხმაზე ზღვა
 ბუდიდან ამიფრინდება,
 ლოდს მიასკდება და ნაპირზე
 სულს განუტევებს.

1969



ჰილილა და ქარქარა

(ხუმრობით)

ჩემს ოდიშში დადიანს,
კახეთში კი ჭილაძეს,
იციო, რა დღე აყარა:
ჯიხვის ყანწმა კი არა,
ჭინჭილამ და
ყარყარამ.

1976



* * *

ქარები, ვითა ძიძები,
 ზღვების ლურჯ აკვნებს
 არწევენ,
 და ელგით ჰყავთ გათასმული.
 სამყარო –
 გარსკვლაგებით ნაწერი
 ცისა და მიწის ყდაში
 ჩასმული.

1970



დედა თავისი გავშვის საფლავთან

თვალცრემლიან ცას –
დასავლით,
მზე კალთაში ჩუმად უწევს.
სამარესთან ჩამომჯდარი,
ისე მოჩანს ბავშვის დედა,
თითქოს ლოდის აკვანს ურწევს...

1973



* * *

მშობლიურ ცის სილაუვარდეს,
 მიწისქვეშეთიდან ვუმზერ,
 ხმები მესმის: გეეო,
 ადე!
 არ იციან მათ, რომ გულზე,
 ლოდი არა,
 დარდი მაღევს.

1981



* * *

დამეს მთოვარე თევზის ფხასავით,
ვით წინათ,
ყელში არ ეჩხირება.
ვარსკვლავთა აღარ ისმის არია.
ცა რომ პირს იხოკს
ელგის ფრჩხილებით,
ნეტავ ვიცოდე,
რამ გადარია?!

1982



* * *

თავს დაჰკიოდნენ ალბატროსები
 და ქარიშხალი
 პირ-გამეხებით,
 სანამდის ბნედა კვლავ მოუკლიდა:
 მიასიკვდილა ზღვამ მდრინავი
 ზეირთთა ვეფხები,
 ამოიფერთხა ჯავრი გულიდან.

1984



აფხაზეთი – 1992

ვითარცა ქორმა კრუხ-წიწილს,
ისე ჩვენ მტვერი გვადინა:

ოსმა,

რუსმა და...

აფსუამ –

იქ თესა, სად არ დაუხნავს.

და...

დარი უდგას შადიმანს,

კონსტანტინეს და

დაუდხანს!!

1992



პელაზგებს და ქალდეველებს

ნილოსიდან –

ფაზისამდე,
ოქროსფერი ადევო ველებს,
და მეუფობს დიდ ხელმწიფის
აიეტის – პაპის – პაპა.
და პონტოს ზღვა
ურწევს აკვანს,
პელაზგებს და ქალდეველებს.

1966



* * *

კვლავ ქათქათებენ დრუბლების მთები,
ზე გადახრილი დგას
მთვარის სვეტი
და ბრწყინავს მნათთა თითები თლილი.
მზე მოჰყავთ მამლებს
ყიგილის ეტლით,
და ღამეს სული უჭირავვს
კბილით.

1981



* * *

კლავირნენ და გულში მახვილს
 უყრიდნენ,
 აღარ ინდობდა ბედი – მურტალი,
 მაგრამ სიკვდილი არ მიიკარა:
 საქართველოს ცა იდგა
 ზღვისკარად,
 კოლხური მთვარის ნაჩუქურომალი.

1974



შურდული და ოქროს ძნარი

უამთა ტყეში მწევრებივით,
ათასწლეულები ყეფენ...
ცისქვეშეთში დარობს დარი.
მელანდება დავით მეფის:
შურდული¹ და ოქროს ქნარი².

1964

¹² შურდულით დავითმა გოლიათი განგმირა, ხოდო ქნარის პანგებზე „ფსალმუნები“ შექმნა.



მ ა ნ დ ა ლ ა

სიკვდილს კი არა,
 მქროლავ დრო და ქამს,
 მიაქვს სიცოცხლე როგორც
 ნადავლი.

სადღაც ჭრიალებს მზის და მთვარის
 ცისფერი ღერძი.
 და ჩემი სული იმ შავ მანდალით* –
 სხვა სამყაროში –
 გასასვლელს ეძებს.

1982

* მანდალა – შავი ხერელი.



გაი, ნანა!

არც ხვიჩა ჩანს
და არც გოჩა
და არც პაატა სააკაძე,
სამშობლოსთვის
ვინც სიცოცხლე,
წამით ადარ დაინანა.
და ჰუნეთა ფლოქვთა ხმაში
ისევ მესმის,
ცრემლნარევი: „გაი, ნანა!“

1987

შემოღვევა ნოსტეზი

სააკაძის ნოსტეზი ვარ,
 მელანდება დიდი ბაკა*,
 ქარს ღრუბლები დააქვს შავად.
 ვიდაც რომ სცემს ჯოხით კაკალს,
 ნეტავი რა დააშავა?!

1994

* ბაკა ხერხეულიძე – რომელმაც გიორგი სააკაძე სიკვდილს გადაარჩინა.



ბრძა ჯოხილი

აკაკუნებს ჯოხს მიწაზე,
რუსთაველის პროსპექტზე თუ,
ხეობაში თეძმის.

და კაკუნით —

იქ დამალულს,
თითქოს სიკვდილს ეძებს.

1978



* * *

პოეტო,

შენი სული,

ბინადარი ცის ერდოს,

იქ – მამაღმერთთან მივა.

კითარც მიგიდა ერთ დროს:

ბუდას,

ქრისტეს და შივას.

1998



საინგილოს, შსანს და ხერთვისს

ურჯულონი რჯულს გვარომევენ:
საინგილოს,
ქსანს და ხერთვისს.

რწმენას გვიყენებენ ყირა
და მათ ავიწყდებათ ხშირად,
უთვალთვალებთ ციდან დმერთი.

1992



* * *

სახეშეშლილი,

ტიტველ-შიშველი,

მიედინება ღამე მტკვარივით.

დაეგიდება ალბათ მალე სივრცეს

მზის ფარი.

ცამ სარცხვენელზე ახალი მთვარე

ლელვის ფოთოლივით აიფარა.

1977



ხილვა: 33 მილიონი ქართველი

მომხდეურთან ბრძოლით

ბროლივით დამსხვრეულებს,

მოვა დრო,

უფალი გაამრთელებს,

მთავარია რწმენა არ დაიღიოს.

რა დღეს და რა ხეალ,

ჩვენ ვიხილავთ ქართველებს,

ცამეტს კი არა,

ოცდაცამეტ მიღიონს.

ამინ!

1992



* * *

გამთენისას, როცა მყინვარმა,
შოორ წარსულიდან
გადმოფრენილი –

ნიხლის ქათქათა აფრა აუშვა,
ანანურთან ხმა მესმა
ციხეთა:

„დახვდი!“
„დაჰკარი!“

და „არ გაუშვა“

1964



* * *

ცად განსახლებულ პლანეტებს,
და ვარსკვლავების ზერებს,
მიწის სურნელი უდის.
მგოსნის სულია – მზე,
გალაქტიკებში რომ ბუდობს.

1968



* * *

ოცდათოთხმეტი საუკუნეა,
 ევქსინის პონტო –
 მედეაზე არის მგლოვარი.
 ირგვლივ ყოველი დავიწყების
 მტერმა დაფარა.
 მხოლოდ შენ გახსოვს აიგტის ხმა
 უხსოვარი.


1968



* * *

ვითარც სახე სიკეთის,
მოჩანს მთვარე სწეული.
და ჩემს თვალთა მზერაში,
ლამაზ ბუდეს იკეთებს:
ცეცხლი კოსმიური და
მზის სევდა შორეული.

2004



* * *

ვაჟას ფშავის ბუნება,
მართლაც საარაკოა,
ღვთის ხელით დაწერილი.
ეინვალთან კი ვაკეა,
აქეთ-იქით მთებია,
ჰეროდოტეს წვერივით.

1976



* * *

აგვისტოა,

მზე წამით სიცხეს

აღარ ანელებს,

მზე მზეობას არ იშლის,

დღემ რომ თბილისს ასტუმრა.

პანთეონში დიდუბის –

ცისკენ თვალმიპყრობილი

წვეს ტერენტი გრანელი

და უდვია სასთუმლად

ქვის პატარა ბალიში.


1996



* * *

კოსმიური ჩემი ფიქრი,
 ისევ ისე ვიმეორებ,
 ხსოვნის ყვითელ ალამს კიდებს:
 ვარსკვლავებს და
 მეტეორებს,
 პლანეტებს და გალაქტიკებს.

2006



* * *

ისტორიის დიდ მინდორზე
ახლა,
ათასწლეულების მერე,
ერთმანეთთან ბრძოლით გართულს,
ვხედავ: კოლხებს,
დაიანებს¹,
მიდიელებს² და სასპერებს³.

1970

¹²³ ქართველური ტომები



* * *

მზე ჩადის და ზღვისკარად, —

სხივთა რილო — ჭრილოა.

ცა და მიწა კოლხეთის —

(სად მითები დაგოგავს)

ფერწერული ტილოა,

სეზანის და გან გოგის.

1991



* * *

თენდება!

მაგრამ წამითაც,
ქათქათა ღრუბლის ლოგინში,
მთვარე ვერ მორჩა კოტრიალს.
შესევიან და დამის ცას,
გარსკვლაგები კვლავ
კორტნიან....

1979



* * *

(გარიანტი)

მესის ძახილზე დაიმსხვრევა
 ცის თეთრი მინა,
 შეკრთხბა მოვარე,
 ვითარცა მწირი.
 და ქამს ცისკრისას,
 ჩემს კოლხეთში რომ
 მოვა წვიმა,
 ასე მგონია: დაბრუნდა და
 მედეა ტირის.

1968



* * *

იყავი ექვსის...

ოცდაექვსის...

დღეს ხარ სამოცის...

არ იცი საით წავიდნენ წლები.

ყოველ დღის ბოლოს,

ახლაც დამის კუბოში წვები,

ხოლო დილით კი,

მზის ამოსვლა ისევ

გაოცებს.

2001



* * *

კლდეთა პიტალო ქვას გახეთქავდა –
მათი ოხვრა და

ცემა გულების.

შიშვლებს რა ჰქონდათ დასამალავი.
და...

ასე იყვნენ ერთმანეთში
ჩაკარგულები,
სანამ განთიადს იყივლებდა ცაში
მამალი.

1971



* * *

დღეები მუდამ ბნელს გვარიდებენ,
დამეები კი სიკვდილს
გვაჩვევენ.
ცას მიჭედილნი, როგორც ლურსმნები,
ეს ვარსკვლავები –
დღიდან გაჩენის,
რომ დუმან,
ნეტავ, ვინდას უსმენენ?!

1989



* * *

შორით რომ ისმის –

წინაპართა არის ჰანგები:

ცრემლის,

ტკიფილის და

მდელვარების.

ჩემი კოლხეთი – ოქროს ჩანგიძა,

ზედ გადაჭიმული –

ათასწლეულების ლარებით.

1969



* * *

იმ პლანეტებზე –
სხვას არავის არ გაუვლია.
არვინ ყოფილა მზის
სიშორით
ასე სწეული.
მთვარე კი არა,
შენი სულია,
ვულკანად ცაში ამოფრქვეული
და ქვადქცეული.

2008



თ ღ რ შ 0

პროფესიული თორაძეს

მომხვდურმა ქართლი დალეჭა
იწვის თოთხამი,
ალეჭი;
ირგვლივ დგას სისხლის მორევი.
ყრია ხმლები და თორები.
ფართა ჟრიალი მოისმის
მიმწვართან –
თურმან
თორელის.

2008



* * *

ღამით მთვარე მიმიძღვდა,
და დღისით კი მზეს
მიგეავდი —
შენთან —
ჩემო,
გე უძილოს!!
ისე მაგრად შემიყვარდი,
ლამისაა შეგიძლო.

1968



* * *

მზესავით დიდი და ჩაუმქრალი,
 გულში არყოფნის უნოია
 ცეცხლი.
 გარეთ კი დამის წყვდიადი აკრავს –
 პატარა ბუდეს –
 ღურჭელა მერცხლის,
 რომელიც გეღარ დაუბრუნდა –
 მშობლიურ სახლ-კარს.

1963



* * *

ათას ჭირ-გარამ გადანაყარი
მოგა და თავზე ხელის აღებით,
როს ქარიშხალი სივრცეს
შებინდავს,
მაშინ ამოვლენ ზღვიდან ტალღები,
როგორც დღეები,
შავითმოსილ ღამეებიდან.

1986



ბ ჟ ლ ვ ი თ ე ლ ე ბ ი

არსაიდან მოსულები –
დასტრიალებთ სათეს-სახნავს
და დაკოდილ სულს მიმოელებთ,
როცა მოჭიპჭიკეს გნახავთ –
ჩემს საყვარელ –
გულწიოთელებს.

1967



ა. ს. სარაშვილი

* * *

მზით გათანგულებს თეთრი დღეები
ტანზე გვაშრება
ვითარცა ოფლი.

გვინდა,
არ გვინდა, მოვა დაისი.
იქნებ გაუსხლტეთ ხელიდან
ყოფნას,
არყოფნისგან კი თავს ვერ დავისწიო.

2005



* * *

(გარიანტი)

როს გაიგებს მამლის ყივილს,
უამს ცისკრისას,
გამთენია.
დამეს სურს რომ გაიხიზნოს.
გარსკვლავებსაც
ჩათვლემიათ,
ერთადერთი მოვარე ფხიზლობს.

1962



* * *

გადმოიარეს მთები და,
ზღვის ლურჯი იალაღები,
მათი ხმა ელვად უგლის ცას!
კელური ტომი –
ტალღების,
ასე, რამ გააგულისა?!

1997



* * *

ფიქრში ვხედავ:

ყავრით გადახურულ ოდას
და მის ლამაზ აბარწაში
კველაზე ზის ციცქნა ბიჭი
და ეზოს წინ –
დამბის გასწვრივ,
მიმოვანტულს უსმენს ჭრიჭინს.

1980



* * *

ელგის თოკებით ერთად შეკრული,
ქარიშხლებს მიაქვთ
ღრუბლების ნამი.
და შორით რომ ჩანს ქვესკნელში დამის,
მთვარე კი არა,
ალბათ გახლავთ ნაგი –
ქარონის,
მას გარდაცვლილი ვარსკვლავთა სული,
შორს მიჰყავს სადღაც,
უსახლკარონი.

1962



* * *

რომ ცბიერია წუთისოფელი,
 ჩვენ კარგად ვიციოთ,
 არ ვართ ბრიყვები,
 მაგრამ ჯობია ახლოდან ნახოთ,
 რადგან სიცოცხლე
 ჩუმად მიჰყება –
 მღვრიე დღეების
 ნამჯას და ნახორს.

2003



* * *

მზეო და მთვარევ!
და ვარსკვლავებო!
უსასრულობად გაშლილო ცაო,
ზოგჯერ ტიალო!
ოუკი გადავცდი აქ არყოფნის
ქარსა და ქაოსს,
ცივ სიგრცეებში მარად უნდა
ვიხეტიალო...

2001



* * *

ერთი არა,
ასიც იყოს!
(თუნდაც აგსულს ერთად ეშვას).
შენ დათრგუნავ ასპიტებს და
ვასილსკოს,
დევს და მაცილს, ლომს და ვეშაპს.

2000



ნოჭიხევის საყდარი

აქ წამიერ ზმანებებში,
უცებ დგება ბორჯი მსხვრევის,
არც მაცი ჩანს
და არც უპა.
და საყდარი ნოჭიხევის –
მწარე წარსულს ჩამორეკავს.

1983



ქარიშხალი ღამით

გამოდიოდა ზეციდან შუქი,
 აბა, რა არის აქ საკვირველი,
 რომელსაც ახლა ყასიდად
 ვარპვევ:
 რომ, ვით დამფრთხალი დამის
 ფრინველი,
 გზააბნეული ქარიშხალი
 მოაწყდა სარკმელს.

1972



ძრისტეს ბაზშვილა

ჩემი მშობელი –

პონტო ევქსინის,

ხელს რომ აღმართავს

ცისკენ ხშირ-ხშირად,

ახსოვს მას ჟამი უძვირფასესი:

(ქალწულისაგან ძე – ღვთისნაშობი)

როცა პყვაოდა ქრისტეს ბავშვობა

სანაპიროზე

ლურჯი ფაზისის.

1964



* * *

მარადიულ იმ სოფლიდან,
 წამისმსწრობელ –
 ამა სოფლად,
 წინაპართა ნათელ ხსოვნად –
 მოდის წვიმა.
 და მე ვფიქრობ: დავიწყების ბინდში
 ყოფნა,
 ნუთუ მათ არ მოეწყინათ?!

1992



* * *

კოლხური ცისქვეშ დამენათევი
ზღვა სიჩუმესთან
შეურიგალი,
როს ნისლის პერანგს ტანზე იხევდა,
უცებ მოვარდა შავი გრიგალი
და ჭუჭყიანი ტალღების მთა
ბნელ ში მიხვეტა.

2001



* * *

ვაღვენთებდი ცრემლთა სანთლებს,
 და აში იქნებ ვეღარ მნახო,
 შენს თვალებში –
 ღვთის მოსავად.
 რომ მიყვარხარ,
 მით გარ ახლო,
 თუ იმიტომ რომ შორსა ვარ.

1989



* * *

გაიელვებს წამს წარსული
და ნავიდან საჭეს ვისვრი,
მიფუჭდება კაცს გუნება –
როცა ვხედავ: ვითარც ქალწულს
საჭურისი,
ზღვა ნაპირს ებლლარძუნება.

1978



* * *

მამა ღმერთი,
 როგორც იობს,
 ბედისწერა ბევრჯერ
 გცდიდა,
 დრომ ვერ დაჰკრა ბინდი იერს –
 აცხს,
 ფიფქივით მოსულს ციდან,
 ცრემლზე სუფთას,
 სინდისიერს.

2004



აპრილის მზე

ხის ტოტებზე დამჯდარა, და
კვირტებიდან ჩეკავს
ფოთლებს
ასე მოჩანს დღე — აპრილის.
ტყისპირ ღელე
როკაპივით
ცოფებს ყრის და მიქოთქოთებს.

1978



მთვარის თასი

უსამანო...

და პირთამდე –

მზით და გარსკვლავებით

სავსე

ცის სილურჯე ჩვენ რომ შევსვით.

ის არ იყო მთვარის თასი,

თავის ქალა გახლდათ ზევსის.

1961



* * *

რადგან წუთისოფლის ქვაბში,
ჟამი უღვთოდ გვაგვარგვალებს*,
მით ცხოვრება მიჩანს ხურმად,
როს სიცოცხლის გავალ გარეთ,
საუკუნის კარსაც ჩუმად
გავიხურავ.

2008

* გვარგვალი (მეგრ.) მაგრად დუღილი.



გასაბები

ეტყობა რომ აღარ ჭრის
გაზაფხულის სიმწვანე,
ტყის ფერი და ასაკი,
თორებ ამდენ „პვა-პვასი“;
ვინდა მისცა უფლება,
თვალჭყატია ვასაკებს.

1977



* * *

შორს რომ მოჩანს დარჩელია
და ახლოს კი ხეთაა და
ხამისკური,
ნოჯიხევი და შემდეგ კი ბია.
დამეა და...
დამეს ისევ დარჩენია –
გარსკვლავებით მოჭედილი
მოვარის კარი ღია.

1969



* * *

ზმანებებით კი არადა,
პონტოს ზვირთში ნათლად ვხედავ –
ფარ-შუბოსან ამაძონებს.
და ჩემს მოხუც მამას –
მოვარეს,
გარსკვლავთ ფარას რომ აძოვებს.

1962



* * *

უცემ მოვარდნილი ქარი,
მშეიდად მძინარ სანაპიროს –
დააცხრება როს კივილით,
და... მაშინ ზღვა –
როსკიპივით,
გედარ ისვენებს და ანჩხლობს.

2003



* * *

გადაუვლიათ ათასწლეულებს...

მათი მზე მაინც აღარ

ბრწყინდება:

იქ ამირანტთან,

ბრილს და არხილოს.

წინაპრებს ჩვენსას ბნელში ძილი

აღარ წყინდებათ

და არც სურთ თვალი სინათლეში

რომ გაახილონ.

1992



* * *

შორი სიჩუმით შემობურვილი,
ზოგჯერ რომ გვაკრთობს
ელფის ძახილით
და ფეხზე მდგარი დამეს რომ ათევს –
ცაა – ბოსელი,
გარსკვლავები არის ნახირი,
დილამდე რომ ბლავიან ნათელს.



გაცი – ლეგენდა

მზის ბილიკებით –

შოორეული გზიდან მოსული,
 კოლხთა წარსული შემოგეპედლა,
 რომელსაც ჟამი კვლავ ატრიალებს,
 მაგრამ შენა ხარ კაცი –
 ლეგენდა,
 კოლხოსის* ძე... და მემატიანე.

1965

* კოლხოსი – პელიოდის ძმის – ფაზისის – ძე, კოლხთა მამამთავარი, (ეპონიმი.)



პუნქტის მნა

პროფესორებს, მამა-შვილ
მამანტი და ცირა ძაძამიებს.

არც ლათინური

და არც ბერძნული...
უნდა ვიტანჯოთ, ოოგორც
იობმა –
პირველ საწყისთან არდაბრუნებით.
უნდა იცოდეს კაცობრიობამ –
პირველი ენა იყო ბუნების.

2007



რეა-კიბელის ძურუმები

ღმერთკაც პეფესტოს ცეცხლის ქურაში,
ხალიბთა მიერ ნაჭედ
ცულებით –

შორი წარსული გადამიბელეს.


და...

პონტოს პირას, რომ ლოცულობენ –
ქურუმებია –

რეა-კიბელეს*!

1986

* რეა-კიბელე – ყველა ქალდმერთთა დედალვთაება



* * *

გაჟას მაღალ ქედებიდან,
არაგვი კი ისე მოჩანს,
ვითარცა გზა საურმე.
მალე მოვა ზამთარი და
მოებს ჭაღარას
გაუკრევს.

1986



* * *

ვთქვათ და ოდესმე ჩვენ კოლხ
წინაპრებს,
მძინარო მითებში და ლეგენდებში,
ჩვენს დაძახილზე
გაეღვიძებათ,
და თვალს მოგვერავენ
იმ სიშორიდან,
თუ ჩაგვთვლიან ნეტავ
ლვიძლებად?!

1988



მს მთხვეთი

მზის ნაშიერებს* ესე ქვეყანა,
სამეუფოდ ახლაც ერგებათ!
ქართული ცისქვეშ რომ ღამეს
ათევენ –
ეს მთები ალბათ არის ძეგლები
კოლხთ წინაპარი
გოლიათების.

1971

* მზის ნაშიერები – იგულისხმება „აიგტიდები“ – პელიოდის შთამომავალნი



* * *

გაფანტულან წლები ჭავლად,
 (ალბათ სიკვდილს ეჩვევიან!!)
 უშენობა სულს მიმჭვალავს)
 ისევ გიხმობ შენ,
 ჩემიანს.
 ჩვენი თბილი ნაფეხური პარას
 ჭალას,
 ნუთუ ადარ შერჩენია?!

1964




* * *

ვეხშიშველი ელვა ისევ –
ღრუბელ-ღრუბელ
დაწანწალებს.

და იხრება მზე –
დასავლით.
მამაჩემი დგამს ანწალას
ტყისპირ,
პირამიდასავით.

1956



შ პ მ ა რ 0 ს ო ბ ა

ღმერთად მიგაჩნდა სიტყვა ქართული
 და პოეზიის იყავ მხევალი.
 სათქმელი!?

აუ! გქონდა რამდენი,
 მაგრამ ვერა თქვი მის ნახევარიც.
 გაფრინდა ჟამი,
 ვით შევარდენი;
 ალბათ, სულს,
 მალე,
 მოგოთხოვს მევალე.

1989



* * *

ვით ბერდედა,
წუთისოფელს,
დღეთა თითისტარზე ართავ.
აღარ რჩები სიკვდილს ვალში,
ეს ცხოვრება გიჩანს
ღართად.*
სადაც გინდა –
ჩრდილქვეშ გაშლი.

1986

* ღართი – ნაბადი.



საჭურო

ეველას ერთ ქვაბში ხარშავს
 საწურო,
 დიდს,
 გინდაც მცირე იყოს კერტივით.
 რადგან სიკვდილი არის თავხედი:
 გინც წაიყვანა,
 დილეგში ჰყავს გამოკეტილი
 და არცერთს აქეთ აღარ ახედებს.

1999



* * *

შესციცინებენ ქართვლის ცას ქედები,
მწვერვალებს მოსწყინდათ
ღრუბლების ამბორი
და ნისლის ფარდები ჩამოხსნეს
დარაბებს.
ფშავ-ხევსურეთის მთებია –
ამფორა,
პირთამდე საგსე შავ-თეთრი
არაგვით.

1998



* * *

ფიქრი,

ათასწლეულების,

მიძინებულ ღრუბლებს აშლის,

მერე გრძნეულ დამეს მირბეგს.

და ჰკიდია მთვარე ცაში,

ვით კოლხური ტყავი კვირბის*.

1986

* კვირბი – იგულისხმება ოქროს საწმისი.



* * *

ქარიშხალთან ბრძოლით დაღლილს,
ჩამოძენდილს, ვითა გლახას,
ლამეს აღარ მიეკარა რული

და...

დილით კი,
გაშხლართული როცა მნახა,
ზღვას,
მაშინვე წაუგიდა გული.


1999



* * *

უსაზღვროების დამის წყვდიადში,
ერია გარსკვლავთა ოქროს
მადანი.
ცას ცისარტყელის შვენის ნაწიავი.
და დღე ყოველი მზის
ჩირალდანით,
არყოფნისაკენ გზას მიგვასწავლის.

1998



* * *

რაღა ქნას,
მზეს რომ თვალს ვერ
უსწორებს,
ბრინჯიფით აბნევს შეხვედრა დილის,
რადგან სიკვდილზე
ფიქრი აწვალებს,
წელში მოხრილი დღეს მისი ჩრდილი
დედამიწაზე კვლავ დაწანწალებს.

1988



ქართული ზღაპრების პიონერის

ზღაპრიდან დევთა ისმის ღრიალი,
ო, ალბათ კაცის ხორცი
მოშივდათ.

(ნაცარქექიამ დრო ვერ იხელთა.)

და ცად აღმართულ
ღამის კოშკიდან –
მთვარის თეთრ სარკმელს
გააღებს ელგა
და ვითარც ბაყბაყ დევის ასული,
დედამიწაზე ჩამოიხედავს.

1986



დრო - ძურდი

დრო - მარადის უჩინო,
ბოლოთასა სცემს ზღვისკარად
და დილიდან -
მწუხარამდე,
თაგს გვახურავს ცის კარაგს.
და მზის ყოველ ჩასვლისას,
ჩვენს თეთრ დღეებს
იპარაგს.

1988



* * *

დღის გათენება გვიხარია,
 რადგან გვავიწყებს
 ზოგჯერ სიავეს.
 ყველა კარგები იქ არიან.
 და ჩვენ გვგონია
 ქროლა ნიავის,
 ცხოვრება, თურმე პირქარია!

1997



„პოლეშრი—ოქრომრაგალი ძველანა“

ოქროს ქვეყნის ნაშიერს –
გმოსავს ოქროს სამოსი,
გესმის ოქროს ყიუინა
პონტოს ზფირთთა მაყარის.
ცხოვრობ გზა-გასაყარზე,
„მზის ჩასვლის¹“ და
ამოსვლის²“.

1969

¹ „მზის ჩასვლა“ (სემიტ.) — ევროპა

² „მზის ამოსვლა (სემიტ.) აზია



* * *

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი,

არამედ სულ სხვა“.

ტ.გრანტი

მარადისობის ძეგლად დამდგარი,

ბრინჯაო არა,

შენა ხარ თიხა,

უსპეჩაპესი ვითარცა ფიფქი.

და დღენიადაგ ჟამივით

მიხვალ –

სიცოცხლესა და სიკვდილის იქით...

2001



* * *

სხვა რწმენით და იმედით,
შემოგყურებს ეპოქა,
რადგან დემონს
არ ყვარობ.
მალე აღარ გეყოფა –
სათარეშოდ სამყარო.

1959



* * *

ვითარცა დანტე ალიგიერმა –
 განადიდა გზა ჯოჯოხეთის,
 ისე მე ჩემი წარსული ვაქე.
 წყვდიადიდან ხმა მესმის კოლხეთის:
 – იმ, გზას შორეულს
 ვერ ვაგნებ აქეთ.

1964



* * *

ხობის წყლის პირას
ჩამომდგარ დამეს,
მთვარე ახურავს,
ვით ქუდი ჭილის.
და ესხურება სიცოცხლედ წამი –
ღორის გუდივით პატარა
ბილიკს.

1974



* * *

მწუხარია და ცის ფერებში,
ზღვას მკიგანი
თოლიები,
შავს და თეთრს ვერ ანსხვავებენ.
მეხის ხმაზე ჩიტებივით
უცებ დაფრთხენენ
ვარსკვლავები.

1960



ხილვა: ეპროპის მოტაცება

პონტოს ზღვისკარად ატმის ტოტივით
ჰყვავის კოლხეთი –
ცამდე მაღალი.
და მის ასულს კი იტაცებს ზევსი.
და აი, ახლა
ათასეულ წელთა მიღმიდან
მე,
ეპროპას* კივილი მესმის.

1989

* ეპროპა (ყორფა) – მეგრ.) სიყვარული.



* * *

ოქროს მთიებით შემოსარული,
 მთათა გადაღმა,
 სად ცის კიდეა,
 ღრუბელთ ფთილები ჩანან გედებად.
 მამლის ყივილი –
 ბეწვზე ჰქიდია,
 ფრთას ფრთას შემოჰკრავს და
 გათენდება!

1968



მზის დაპირება

თუ კაცთა მოდგმა ცოდვას
ადარ მოინანიებს,
იფეთქებს ჭირი,
გამრავლდება ურჯულოება.
მზე დაბნელდება, ვერ მიწვდება დამეს
ნათელი,

ერთად ჩაქრება ვარსკვლავების
კორიანტელი.

და ვით პირველად,
შეირხევიან ძალნი
ციურნი.

რადგან ყოველი ბოროტების გზებით
იურვის...

კაცთ არ ექნება არსად მიწა ფეხდასადგამი,
მაგრამ...ძე არა!

მამა იხსნის მოდგმას ადამის!

1969

ჩემი გული ბჟეარია

შემოჰკრავენ ფრთებით ტაშს და
გათენება უხარიათ –
ხის ტოტებზე დამსხდარ მამლებს.
მე კი შევციცინებ მნათობს.
ჩემი გული ბუხარია,
ოვით იწვის და
სხვას რომ ათბობს.

2003



* * *

შუალამისას გადაჭრილი
ელვის ნაჯახით,
მთვარე თითქოს და
მორია რწყაფის –
ათასეული წრიული ხაზით.
დამურებივით ვარსკვლავები
კიდია ცაზე
და ბნელის ნაცვლად,
სივრცეებს კვლავ სინათლით
რწყავენ.

1979

აბანტები და ამირანტები

წარსულიდან კვლავ მითვალთვალებენ,
 – არ დავივიწყო:
 თავს მაბრალებენ
 და ბნელში ხსოვნის სანთლებს
 ანთებენ:
 მაკრის¹ – მაკრონი² და
 მაკრალები³,
 აბანტები⁴ და ამირანტები⁵.

1969

¹²³⁴⁵ კოლხური (ქართველური) ტომები.



მარცვალი

ადამის მოდგმის წახდა ამინდი,
ოცდათ გერცხლად მცხოვარი
როცა გაცვალეს...
და ასე მოდის დასაბამიდან:
ქვეყნად ყოფნა რომ აღარ გათავდეს.
მიწას სამარედ ეძებს მარცვალი,
რომ კვლავ სიცოცხლედ
ამოთავთავდეს!



ჰეის სული

სიშორის ბორცვებზე დამდგარი,
 გარსკვლავთა სინათლის
 ხეებით,
 ცა, თითქოს ტყე არის მისურის.

და...

ბუხრის ყელიდან
 ამოდის –
 კვამლი კი არა, ტყის სული.

1964



მოხუცი მედოლე

აიგანზე მჯდარ მოხუც მედოლეს,
ზესთა სამყარო –
ათასჯერ აქვს ფიქრით მოვლილი.
და არის ღმერთთა თანამედროვე.
ხელში უჭირავს მთვარე –
დოლივით,
და მთელი ღამე მთვარის დოლზე
უკრავს მედოლე.

1971



ALAMY

შავი ზღვისპარად მდგარი ტუია

ბრძოლის ქარცეცხლზე ამხედრებულებს
 ათასწლეულებს აქ ჩაუვლიათ.
 რომ ჩავეჭიდო მათ ნაკვალევს,
 არა ჩანს ხავსი.
 შავი ზღვისპარად მარტოდმარტო
 მდგარი ტუია*,
 არ ვიცი რატომ,
 მე მედეას რად მივამსგავსე.

1968

* ტუია (ბერძ.) დეკორატიული ხე.



ოფარიზი და მერპური

ლამით თავზე დასტრიალებს
ოტარიდი და
მერკური.
და ბედმა თუ არ უდალატა,
მზის ოქროს ღილით
შეკრული –
დღე პვლავ ეცმევა ხალათად.

1979



ზედაზნის მთები

სვეტიცხოველთან მოხუცი მთვარე,
კვლავ გარსკვლავების
კოცონზე თბება.

საღლაც ტკარცალი ისმის ალების.

და...

დევებივით ზედაზნის მთები,
მტკვარზე ჩასულან წყლის
დასალევად.

1980



* * *

აპა,

ოცდაათს გადავცდი,
წლებიც ელვარე ფრთებით
მიჰქრიან.

და ცივი ზამთრის ვამბობ სიმკაცრით,
— მე პოეზიის ვარ ჯარისკაცი,
გენერლობაზე —
მეც მიფიქრია.

1971



სელენი

ზანზარებს ცის ლურჯი
 დარბაზი,
 პორები¹ აღებენ კარებს
 და ისმის: სელენე!
 სელენე²!
 დიდი პოეტია მთვარე
 და ვარსკვლავები მსმენელნი.

1969

¹ პორები (ბერძ.) – ბუნების წესრიგის დამცველი ღვთაფ-

ბები.

² სელენე (ბერძ.) მთვარე, ჰიპერიონის ქალიშვილი.



03ლისი ორთაჭალაში

დგას ობელისკი,
ვითა ხსოვნა არაგველების,
ასწლეულები მის სიმაღლეს
თითს ვერ ახლებენ.
და მაპმად-ხანის ზარბაზნები
ვერ იგრგვინებენ.
ორთაჭალაში გადმომდგარან
კლდიდან სახლები
და მტკვრის ჭავლებით –
ალმოდებულ სულს იგრილებენ.

1973



* * *

მთიების ჯარი სიშორეში
 მიმოფანტულა,
 ვა დარჩენილა მთვარის ამარა.
 ვით ბრძოლის ველზე დახოცილები,
 მიწაზე ყრია ხეთა ჩრდილები
 და არავინ ჩანს მთხრელი
 სამარის.

1986



ჩემო პოლჩორო სახლო

მითებით გადახურულო,
დიდ და შორეულ
წარსულში –
მდგარო კოლხურო სახლო!
ვაი,
თუ ავისმდომელმა,
ჩემს მერე ხელი გახლოს!

1992



* * *

„თბილისი—ფოთი“

წყვდიადს მირდვევს,

ხმაურში თითქოს ისმის

— გიშველეთ!

ქარმა ხეები კვლავ დაარბია...

ლიანდაგები ტიტველ-შიშველი,

დასავლეთით,

სადღაც გარბიან.

1999



* * *

ცის კაბადონზე სიფრიფანა ნისლის
მანდილით,
არ ჩანდა მოვარე –
მზის ნაქმარევი.
ნაპირთან იდგა ხე, ვით ქადაგი.
ხმაურის ცოცხით ჰგვიდნენ
ქარები –
ზღვის მტვრიან მინდორს
ასჯერ გადაგვილს.

1981



* * *

ჩემი ანცი დღეები,
 აქ არყოფნის ტოტებზე
 ხტიან,
 როგორც ციყვები.
 ლამეს მთვარე აბოდებს...
 და ცხოვრება მიყვება
 ადიდებულ მდინარეს,
 წყალს, ვითარცა ნაფოტი.



0სეპ პელაზგები

„პელაზგები ეგვიპტის რ-ნის ავტოხოონები არიან“.

(ბერძენი ისტორიკოსი (VI ს.წ.წ.აღ.)

ეგეოსზე¹ და სკიროსზე²,
პელაზგები პელაზგურად
სიტყვას, ვითარც ოქროს მარცვალს,
თუკი თესდნენ, თუკი მკიდნენ,
ბერძნები, ვით იქნებოდნენ,
უპირს ბერძენ თუკიდიდეს.

1968

1,2 კუნძულები ვთუკიდიდე (ბერძ.ისტორიკოსი (V ს.
წ.წ.აღ.)



* * *

შენ არ ჩანდი...

და უშენოდ
 დღეებმა ცად გადიგრგვინეს,
 ვით ლაზარე გამაცოცხლეს
 ადრე მკვდარი.
 ახლა შენი სიყვარული
 გულს მიგრილებს,
 ისე, როგორც თბილის –
 მტკვარი.

1970



* * *

ჩემს სარკმელში იხედება
ელვის ეშმა პაწაწინა,
სუსტი და მიამიტი.
სველ თითებით უკრავს წვიმა,
კვლავიშებზე –
კრამიტის.

1958



პირბები

„კორიბანტულ-კაბირული დამწერლობა
ჩანს პელაზგური დამწერლობა იყო“.
დიოდორე სიცილიელი.

წარსულში მსხდარ კაბირებს¹
კორიბანტებს², დაქტილებს³
მოვუხმობ და კოლხურ ცას,
კვლავ კოლხურად ვატირებ.
რადგანაც ჩემს „ფსალმუნებს“
სხვა გემო და ფერი აქვს,
მიტომაა ისტორიის ქვესკნელში
რომ დავეძებ –
კირბებს⁴, ვით კოლხ ფერიას.


1962

1,2,3 კოლხი ქურუმები
4. კირბები – უძველესი კოლხური (ქართული) წიგნები.

იალგური და ეიზელი

სიყვარულის ერდოდან გადმომდგარი,
ისრებს გტყორცნიან ამურები
და ცას წარსულ დღეთა შვენის ფერი.
შენი „კოლხური ფსალმუნები“ –
არის ქართული პოეზიის
იალბუზი და ეიზელი.

2000



* * *

შორეთიდან მოსულები –
 ასი ათასწლეულია,
 ყინჩად დგანან ეკის მოები;
 ტეხურთან და ციხე-გოჯთან,
 მე ყოველდღე წარსულს ვხდები,
 მაგრამ არრას ვეკითხები.

1964



* * *

ცის დასალიერს გავყურებ
სარტყმლიდან,
რაღაც კრავს ირაოს,
ჩანს ორბია.
მთის წვერზე არბიან ბილიკები.
და მერე უკანვე
ჩამორბიან.

1959



* * *

გადავიწყების გზებით მიმავალს,

მივსდევ გარდასულ

ათასწლეულებს.

რა ვქნა, აწმოში ვეღარ ვეტევი.

და აკაკივით თავაწეული,

ჩემი კოლხეთის –

შოორ წარსულში დაგეხეტები...

1964



ელაზბ-ლელებ-ტირინები

ვითარც „უბნობს“ პელანიკე¹:

— ელინებმა ჰელესპონტში,

ალკიას და სქიალკეს,

პელაზგ² — ლელეგ³ — ტირინები⁴,

ვითარცა „ბარბაროსები⁵“,

სულ ერთმანეთს მიაკლეს.

1970

1 პელანიკე ლესბოსელი — ბერძენი მწერალი.

2,3,4 კოლხური (ქართველური) ტომები.

5 „ბარბაროსები“ — არა ელინელები, არა ბერძნები.



* * *

რა თავში იხლი მარადისობას!

რომ ხარ მოკვდავი,

ხარ ბედნიერი.

უთვლელი ოქრო-ვერცხლის პატრონო.

მაგრამ გაშინებს:

ქამმა ცბიერმა,

ვაჟ!

ოჯ,

უკვდავებას შეგატოვოს!

1972



* * *

ახლა ლამაზ სამყაროს –
ფერი ადევს სუდარის,
ირგვლივ სიმწუხარეა.
გზე კი არა, მთვარეა,
სულის მარადიული,
თეთრი ნაგსაყუდარი.

2004



ამბობს დიდი პომეროსი

„დვინისფერი ზღვის შუა გულში“,
 კუნძულს¹ ვერ შეელივნენ
 აქაელნი², დორიელნი³
 და დიდებით შემოსეს...
 მიტომ სძულდათ ელინელთ!! –
 ამბობს დიდი პომეროსი⁴
 და ეს სჯერა ლესბოსელს.

1969

¹ კუნძული – იგულისხმება კრეტა, თავისი ოთხმოცდაათი ქალაქით.

^{2,3} ძირძველი პელაზგური ტომები კრეტის აბორიგენი – ეტეოპრეტელნი.)

⁴ პომეროსი – უდიდესი ბერძენი (პელაზგი) პოეტი (VIII ს.წვ.წ.ა.)



* * *

ვარსკვლავთ მდინარეები –

ცას სინათლედ ერთვიან,

სულს მზითევად

ზღვა მოჰყვა.

სიყვარული ღმერთია –

მზე სიყვარულს ამოჰყავს.

1978



ვეზნისტყაოსანი

რეკავს და რეკავს ზარი ცხრაასი,
ხმა შორეული ისმის
საპრის.

მთიები არა,
ანგელოზთა ბრწყინავს თოლები.
წიგნი კი არა, სიბრძნის ზღვა არი,
სტრიქონები რომ გაწოლილან
ვეფვხის ზოლებად.

1969



* * *

საგსე იდუმალებით,
მთვარე თითქოს სფინქსია,
და შენ,
მზეს ნუ მიელტვი.
„ყველაფერი ცივია,
რაც კი მარადისია“.

1963



* * *

„მეტი სინათლე“...

გოგოვა

დამიდან მოფრენილები –
ჩემი დღეები რომ
შლიან ფრთებს,
ამისთვის უფალს მადლობა.
და ზოგჯერ,
უამურ სინათლეს,
ჯობს სრულად უსინათლობა.

2008



* * *

მოგდევს ავი ზმანება:
იანუსის ჩურჩულით,
ეშმასა და დევების,
გეხლის მთხეველ ურჩხულის:
არიმანის,
კაქნის,
ნერონის და ჰეროდეს...
სოფლის ამაოებას ტირი...
უნდა მდეროდე!

2009



* * *

განათლა დარბაზები –
მეცხრე ცის,
სანთლები აანთეს იქ ღმერთებმა.
და ვარსკვლავების ოქროს
სასანთლეებიდან –
ნათელი იდგენთება.

1960



* * *

ეს დიდი მთები —

ცოდვაა შენი

და არასოდეს გექნება შვება.

ათასწლეულებს მზის ქვიჯაში

მაინც დანაყავ.

წარსულისა და მომავლის ფრთებით

ამ ცისქვეშეთში მარადისად

იფრენ ამაყად.

2007



ფშავის არაგვთან

ოუმც ქამთა ბრუნვამ
ბევრჯერ დარაგვა:
ტოტი ბუერას და რტო მჟაველას.
მაინც ელიან გულისფანცქალიო –
ფშავის არაგვთან –
ვაჟა-ფშაველას.

1977



* * *

დახუნძლული მთიებით,
ოუნდ ცის კალთა
ფარავდეს,
სხვა ქინით და ალერსით.
მაინც კაცთა მოდგმაში,
ჩუმად ბუდობს მარადის
შიში –
უზენაესის.

1998



მიღმეთიდან მოხვდი

დღე-ნიადაგ გიხმობდა –
 ზღვაზე პოსეიდონი¹
 და ცაში ასპიროზი².
 შენ კი, ვთა კოლხეთი,
 პონტოს სანაპიროზე –
 მიღმეთიდან მოხვდი.

1963

¹ პოსეიდონი – ზღვის ღმერთი.

² ასპიროზი – ვენერა, ვენუსი.



* * *

ირგვლივ სუფეევს ქაოსი...
ვით დღე-დამე დვიძლია –
კაენიც და
მეხიაც...
სიცოცხლეს და სიკვდილსაც,
ერთი დიდი –
ფესვი აქვს.



* * *

ლამის სიმყუდროვეში –
ისევ კრთები ელგად და,
ჩამოდიხარ ქუხილად.
მიწაზე ჭვრებ ხილულს და
ზეცაში კი უხილავს.

2004



* * *

იდუმალებით ჩამორეკილი,
გაჩენის დღიდან გვიხმობს
სხვა ზარი...
და როცა წავალთ,
ღმერთო გვაცხონე.
ჩვენი სხეული არის
ტაძარი,
სადაც ანთია რწმენა მაცხოვრის.

2001



გარსპოლავია ცათა საშნევ

ზღვის ბილიკებით გადმოსულებმა,
 ღრუბლებმა მთები
 კვლავაც დაამუნჯეს,
 თოვლის სპეტაკი ალმურებით.
 ვარსპოლავებია ცათა საუნჯე,
 შენი კი „კოლხური ფსალმუნები.“

1999



პითარც ბეღურა

წეროებიც და წავლენ მერცხლებიც,
რომ თბილ ქვეყნებში
გამოიზამთრონ.
მე არსად წავალ, როგორც ბეღურა,
მსურს რომ აქ მოვკვდე,
და ქართული ზეცა მეხუროს.

2008



* * *

უსაზღვრო და უსამანო –
შენ ღმერთმა ცა-გიგალობა,
მზე იცინის...
შენც იცინე.
მე კი შორით, ვით წყალობას,
ციხეგრის ვარსკვლავს
შევციცინებ.

1997



* * *

ოცდაცამეტი წელიწადი
მიიჩქაროდა
ცისკენ-
იქ მამა ელოდა ქრისტეს.
მაგრამ მიწაზე არავინ იცის,
რად მიიჩქარის მდინარე
ზღვისკენ.

1986



* * *

ახლო წარსულში აკიგლდა ვიღაც,

ვიღაც კი არა,

დედაჩემი.

— სიკვდილმა უცებ მოსტაცა შვილი.

1983



* * *

უფლის ხელი ურევია...

მაპატიეთ,

როგორც პოეტს,

ეს გამარჯვება „გიპონით”,

მაგრამ ქვეყნად რაც მე ვპოვე,

თქვენ ვერასოდეს

იპოვნით.

2006



პრგოსიდან

არგოსი¹ ზოგჯერ მოელ ელადას
ეწოდებოდა”.
პომეროსი

სიცოცხლის და სიხარულის
ჩაუქრობელ მზით შემოსილს
კოლხეთის ცამ მარგოს მინდა
მე ეგრისელს –
ძეს ეგროსის,
მომავალს შორს-არგოსიდან.

1970

¹ არგოსი – აიეტის შვილი შვილი ფრიქესა და
ქალკიოპეს (აიეტის ქალი შვილი) – ვაჟი.



* * *

არყოფნის ნისლით გადახურული,
დღისით არა ჩანს
მთვარის კარავი.
მზის ამოსვლა კი მუდამ მიკვირდა.
და მე ვისმენდი,
და სხვა არავინ,
სიმწვანის ბლავილს ციცქა
კვირტიდან.

1984



* * *

ცათა მიღმა წყვდიადში,
ვიცი,
შენ ციმციმებდი:
(ლამე კვლავ ამარტისე.)
ოცნების ფერს,
ფერს იმედის,
ფიქრისა და ნატვრისფერს.

1962



* * *

ფაზისის პირას ტალღა ჩურჩულით,
არგონავტებზე ამბავს
მიყვება,
უკვე მეათედ!
ნაპირზე ხტიან მთვარის ციყვები,
ჩრდილის მელია,
გუდს ძლივ მიათრევს.

1972



* * *

გამკრთალ ელვის სატევრიო,
 ჟამთა უღრანს მიჰკაფავ,
 წუთისოფლის დამნისლავს.
 დამით იცვამ მზის ქაბას
 და დღისით კი
 მოვარისას.

1979



ვრთები ქართული

ოლიმპოს მთიდან გადმოფრენილი,
ჩუმად გეწვევა ფრთების
ფაოქუნით,
ზევსის არწივი და ცად გიტაცებს.
და დაგაქროლებს ფრთები
ქართული,
ამ ცოდვით სავსე დედამიწაზე.

1999



* * *

(გარიანტი)

ვარსკვლავთა ოქროს ნისკარტით,
გენკავენ დღეთა
ციცრები,
რაც ცის მინდოოზე დათესეს.
ძე-იგი გელაციცება-
ნათელმხილველს და
ნათელმსმენს.

2001



* * *

სიცოცხლე და სიყვარული
შენ დღეებმა გიწილადეს,
ვითარცა პოეტ-ხეიბარს.
და მზე ისე, ვით პილატე,
შენს ყოფნაზე
ხელს იძანხ.

1972



* * *

უფალი თუ გამიწყრება
 და ჩემს მზერას მონისლავს,
 უნდა ვხდიო მზესავით,
 ვითარც არეოპაგელმა:
 ხილვებს არამიწიერს,
 სიბრძნეს სოლომონისას.

2003



* * *

მარადიულ ცას დაეძებ,
მზე გვირგვინად –
თავს რომ ადგას,
დილაა თუ საღამოა.
და ... ფეხს სადაც
შენ დაადგამ,
ყველგან იები ამოვა.

2005



* * *

ვით წინასწარმეტყველი –
ზიხარ კოშკში დოდინის,
და დრო მოჩანს მეწყერად.
და წამიწამ მოელი,
სიბრძნე, როდის გეწვევა.


1960



ბააპა ხერხეულიძე

ასი კი არა, ხუთახი,
წლის მერე ტაშისკარიდან –
მტკვარს მოაქვს ხმა სააკაძის:
„დავკრაო მტერს...
ისევ დააკათ!“
გმირი ცხრა ძმა ხერხეულიძის,
ერთ-ერთი ძმაა ბააკა!

1966



* * *

საწუთოს არ ხარ მძლეველი,
 მიტომ შურით დაგესლილთ.
 მაინც,
 კითა საარი:
 სერაფიმთა,
 ქურუბიმთა,
 ანგელოზთა ხმა გესმის.

1969



* * *

ჯერ არ ისმის ხმა კადმოსის¹,
ლიმნოსის გზას მიუყვება –
ვარსკვლავებით მოთესილს²
პრონაპიდე,³
თიმოიტე,⁴
თამარისი,⁵
ორფევსი.⁶

1963

¹ კადმოსი – ფინიკიურ ანბანზე დაყრდნობით ელინელგ-ბის და მწერლობის შემქმნელი, (ლიმნოსის მკვლელი)

² ლიმნოსი – პელაზგური დამწერლობის შემქმნელი

^{3,4,5,6} – პომეროსის (ჩვ.წ.აღ. IXს.) წინარე პოეტები.



* * *

ქაფისგან შობილს,
 გაზრდილს ზღვისკარად,
 არყოფნის ქარი
 თავს გევლება
 და გილამუნებს...
 შენ რომ მოკვდები,
 მერე შენსავით,
 კა,
 ვინდა შეთხავს
 „კოლხურ ფსალმუნებს!“

2007



* * *

მოულოდნელად ცაზე ელვამ
გადაირბინა
და თეთრ ღრუბლებს ეცვალათ მხარი.
ცრემლი ჩაედგათ ყომრალ
თვალებში.
მთვარე კი მოპგავს ქაღალდის ნავს,
რომელსაც ქარი,
მიაქროლებს ცის ოკეანეში.

1978



* * *

ჩემს ლოდინში დედაჩემი,
 ბუხის ჩრდილქვეშ
 სუფრას არ შლის,
 არ ისწორებს ულვაშს მამა.
 დაჭიხვინებს მეხი ცაში
 და მზეს სტყორცნის
 ელვის ქამანდს.

1970



მესხეთში

პონტოს სანაპიროზე
მცხოვრებ კოლხთა ნაშიერთ:
მაკრისებს და
მაკრალებს,
მაკრონებს და აფშილებს,
არ ჰქონიათ შემთხვევა,
რომ მომხდურთა
სისხლი-ხმალს,
შები – ხორცს მოაშიეს.

1989



* * *

ვერ აჩერებენ მწვერვალები,
 უამთა დინებას
 და ცა და მიწა ერთმანეთს
 ეროვის.

ნიავს სმა მოაქვს რუსთაველის
 და ცურტაველის.
 მტკვრისპირ ლოცვად მდგარ ვარძიიდან
 გავცემი ხერთვისს
 და მე სამყარო მეცოტავება.

1966



* * *

იქუხა...

და მეხი მწვერვალს დაეცა,
მთა უცებ შიშისგან გახევდა
კანკალებს ღრუბელი,
ლამისაა ატირდეს.
ქარის ხმაზე ზღვა პორიზონტს
გახედავს,
და ცას შეუდგამს ზეირთოა
კარიადიტებს.

1972



* * *

მეფეთა და ვაზირთა
საქმეებს და
ტიტულებს,
ხედავ უამის მობელილს!
შენ კი,
ვით ტიტურები,
ხარ გრაალის მფლობელი.

2008



ქსის ციხე

(დისტიქტი)

I

შუბლშეჭმუხნილი წარსულსა და
ქართლს გადაპყურებს,
რომელიც მეფე –
ავი გიორგის¹ –
თვის საბედისწეროა!
თუ რატომ,
ჰკითხეთ მსხალთას,
შაგშვებს და წეროვანს.

¹ ავი გიორგი – ქახეთის მეფე (1511-1513)



II

იდგა, ისე ვით სალი კლდე,
 უკან არ დაუხევია
 და მტერს არასდროს ემონა.
 იქ – ჯოჯოხეთის ხევია,
 სადაც მიედინება ჯეონი.¹

1971

¹ ჯეონი – მიწისქვეშეთის (ჯოჯოხეთის) მდინარე.



შავი ზღვა

არ ეკიდება სიკვდილის ხავსი,
ცის და ხმელეთის
წასალექად ნიადაგ იბრძვის...
შავი ზღვა არა,
გახლავთ ლურჯი
გრაალის თასი –
პირთამდე საგსე კოლხური სიბრძნით.

1974



* * *

თვალთაგან ხილული თუ უხილავი,
 ციო და სიშორიო გასანასკვავები,
 იელვებს ანგელოზთა
 ოქროს ნაწიავები.
 და მთელი დამე ვარსკვლავები –
 სინათლეს და სიშორეს
 წყავწყავებენ.

1965



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ	5
ფსალმუნი	25
ქრისტეს ინიციაციებს	26
*** (ქართლის დიდი წარსული კი)	27
*** (ასე იყო)	28
მტკვარი ზამთარში	29
ისევ ქალდეა	30
ხილვა: ბაბილონი	31
*** (ათა-ბაბადან ასე ყოფილა)	32
ვარსკვლავიანი ღამე	33
*** (წინაპრის თვალთაგან ნაშუქი)	34
*** (კლდეებს გამოქცეულები)	35
კოლხა – 5185-5120	36
გრაალის ბარძიმი	37
*** (მზემ ჩამიარა)	38
კიბელეს და კოპალეს	39
*** (მოვლენ ანგელოზები)	40
*** (ცისქვეშ ათასწლეულები)	41
*** (ჩემმა კოლხმა წინაპრებმა)	42

*** (ყოფნა)	43
*** (დამის ტოტზე ყორნებივით)	44
*** (მეცხრე ცაში ბინადრობს)	45
კოლხეთი - 7000	46
*** (ცხოვრება ჯოჯოხეთია)	47
*** (რომ გვკლავს სურვილი)	48
ევბეაზე	49
პირველი ქრისტიანი	50
*** (დაბადებიდან)	51
*** (მე)	52
ორი მტერი	53
ხილვა: სიონის მთა	54
*** (ქარი ქარობას არ იშლის)	55
მიქაელ მთავარანგელოზი	56
ხმელეთზე ბრაზით ზღვა ამოსულა	57
ამბობს ეკლესიასტე	58
პელაზები და ხეოები	59
ღრუბლები	60
*** (წინაპრებმა დაგიბარეს)	61
*** (გარდასულთა შფოთავს ქარი)	62

****(რა ვუყოთ!)	63
ასე იქნება ვაჟა ეგრისელ	64
ხსოვნა	65
უფლის ნაწერი წერილი	66
****(დამე ნისლებს მიაბოლებს).....	67
ხალხური პოეზიის კითხვისას	68
****(უნდა მოედოს მთათა მწვერვალებს)....	69
ბაბილონი – ძვწ. 529 წლის,	
5-6 ოქტომბერი	70
****(ისე როგორც)	71
ხილვა: სამოთხის ხე	72
****(შორეულ ღამიდან მოსული).....	73
გარსკვლავების სერობა	74
****(საქართველოს ცით გადახურული)....	75
გარხვების გადაფრენა	76
ბაბილონის გოდოლი	77
****(ცნობადის ხეთა ფესვები).....	78
****(მეტეორების გამოქროლება).....	79
****(საქართველო).....	80
ხეები	81

*** (არესისა და პარას ჭალაში)	82
*** (წამი რაპ)	83
*** (კუბოებია)	84
რეა-კიბელა	85
*** (მზის ბაჯაღლო ტახტი უდგას)	86
შოშიები	87
*** (ნაფეხურები მზის რომ წაშალონ)	88
ჭინჭილა და ყარყარა	89
*** (ქარები, ვით ძიძები)	90
დედა თავისი ბავშვის საფლავთან	91
*** (მშობლიურ ცის სილაჟვარდეს)	92
*** (დამეს მოვარე თევზის ფხასავით)	93
*** (თავს დაპკიოდნენ ალბატროსები)	94
აფხაზეთი-1992	95
პელაზგებს და ქალდეველებს	96
*** (კვლავ ქათქათებენ ღრუბლების მთები)	97
*** (კლავდნენ და გულში მახვილს უყრიდნენ)	98
შურდული და ოქროს ქნარი	99

მანდალა	100
ვაი, ნანა!.....	101
შემოდგომა ნოსტეში.....	102
ბრძა ჯოხით	103
*** (პოეტო!)	104
საინგილოს, ქსანს და ხეროვისს.....	105
*** (სახეშემლილი)	106
ხილვა: 33 მილიონი ქართველი	107
*** (გამთენიისას, ოოცა მყინვარმა).....	108
*** (ცად განსახლებულ პლანატებს).....	109
*** (ოცდაოთხმეტი საუკუნეა).....	110
*** (ვითარც სახე სიკეთის).....	111
*** (ვაჭას ფშავის ბუნება)	112
*** (აგვისტოა)	113
*** (კოსმიური ჩემი ფიქრი)	114
*** (ისტორიის დიდ მინდორზე).....	115
*** (მზე ჩადის და ზღვისკარად).....	116
*** (თენდება)	117
*** (მეხის ძახილზე დაიმსხვრევა)	118
*** (იყავი ექვსის...)	119

*** (კლდეთა პიტალო ქვას გახეთქავდა) ..	120
*** (დღეები მუდამ ბნელს გვარიდებენ) ..	121
*** (შორით რომ ისმის) ..	122
*** (იმ პლანეტებზე) ..	123
*** (თორში) ..	124
*** (დამით მოვარე მიმიძღვდა) ..	125
*** (მზესავით დიდი და ჩაუმჯრალი) ..	126
*** (ათას ჭირ-ვარამ გადანაყარი) ..	127
გულწითელები ..	128
*** (მზით გათანგულებს) ..	129
*** (როს გაიგებს მამლის ყივილს) ..	130
*** (გადმოიარეს მოები და...) ..	131
*** (ფიქრში ვხედავ) ..	132
*** (ელვის თოკებით ერთად შეკრული) ..	133
*** (რომ ცბიერია წუთისოფელი) ..	134
*** (მზეო და მოვარევ!) ..	135
*** (ერთი არა) ..	136
ნოჯისხევის საყდარი ..	137
ქარიშხალი დამით ..	138
ქრისტეს ბავშვობა ..	139

*** (მარადიულ იმ სოფლიდან)	140
*** (კოლხური ცისქვეშ ღამენათევი)	141
*** (ვაღვივებდი ცრემლთა სანთლებს)	142
*** (გაიელვებს წამს წარსული)	143
*** (მამა ღმერთი)	144
აპრილის მზე	145
მთვარის თასი	146
*** (რადგან წუთისოფლის ქვაბში)	147
ვასაკები	148
*** (შორს რომ მოჩანს დარჩელია)	149
*** (ზმანებებით კი არადა)	150
*** (უცებ მოვარდნილი ქარი)	151
*** (გადაუგლიათ ათასწლეულებს)	152
*** (შორი სიჩუმით შემობურვილი)	153
კაცი ლეგენდა	154
ბუნების ენა	155
რეა-კიბელეს ქურუმები	156
*** (ვაჟას მაღალ ქედებიდან)	157
*** (ვთქვათ და ოდესმე)	158
ეს მთები	159

*** (გაფანტულან წლები ჭავლად)	160
*** (ფეხშიშველი ელვა ისევ)	161
უქმარისობა	162
*** (ვით ბერდედა)	163
საწუთრო	164
*** (შესციცინებენ ქართვლის ცას ქედები)	165
ფიქრი	166
*** (ქარიშხალთან ბრძოლით დაღლილს).	167
*** (უსაზღვროების ღამის წყვდიადში)	168
*** (რადა ქნას!).	169
ქართული ზღაპრების კითხვისას	170
დრო-ქურდი	171
*** (დილის გათენება გვიხარია)	172
„პოლხური-ოქრომრავალი ქვეყანა“	173
*** (მარადისობის ძეგლად დამდგარი)	174
*** (სხვა რწმენით და იმედით)	175
*** (ვითარცა დანტე ალიგიერმა)	176
*** (ხობის წყლის პირას)	177
*** (მწუხრია და ცის ფერებში)	178

ხილვა: ეგროპეს მოტაცება	179
*** (ოქროს მთიებით შემოსარული)	180
მზის დაბნელება	181
ჩემი გული ბუხარია	182
*** (შუაღამისას გადაჭრილი)	183
აბანტები და ამირანტები	184
მარცვალი	185
ტყის სული	186
მოხუცი მედოლე	187
შავი ზღვისკარად მდგარი ტუია	188
ოტარიდი და მერკური	189
ზედაზნის მთები	190
30	191
სელენე	192
ივლისი ორთაჭალაში	193
*** (მთიების ჯარი სიშორეში)	194
ჩემო კოლხურო სახლო	195
*** (ობილისი ფოთი)	196
*** (ცის კაბადონზე)	197
*** (ჩემი ანცი დღეები)	198

ისევ პელაზგები.....	199
*** (შენ არ ჩანდი).....	200
*** (ჩემს სარკმელში იხედება)	201
კირბები.....	202
იალბუზი და ეიფელი.....	203
*** (შორეთიდან მოსულები)	204
*** (ცის დასალიერს გადმოყურებ).....	205
*** (გადავიწყების გზებით მიმავალს)	206
პელაზგ-ლელემ-ტირინები	207
*** (რა თავში იხლი მარადისობას)	208
*** (ახლა ლამაზ სამყაროს)	209
ამბობს დიდი პომეროსი	210
*** (ვარსკვლავთ მდინარეები).	211
ვეფხისტყაოსანი.....	212
*** (სავსეს იდუმალებით)	213
*** (დამიდან მოფრენილები)	214
*** (მოგდევს ავი ზმანება)	215
*** (განათდა დარბაზები)	216
*** (ეს დიდი მთები)	217
ფშავის არაგვთან	218

*** (დახუნძლული მთიებით)	219
მიღმეთიდან მოხვედი	220
*** (ირგვლივ სუფექს ქაოსი)	221
*** (დამის სიმყუდროვეში)	222
*** (იდუმალებით ჩამორეკილი)	223
გარსკვლავთა ცათა საუნჯე	224
ვითარც ბეღურა	225
*** (უსაზღვრო და უსამანო)	226
*** (ოცდაცამეტი წელიწადი)	227
*** (ახლო წარსულში აკივლდა ვიდაც)	228
*** (უფლის ხელი ურევია)	229
არგოსიდან	230
*** (არყოფნის ნისლით გადახურული)	231
*** (ცათა მიღმა წყვდიადში)	232
*** (ფაზისის პირას...)	233
*** (გამკრთალ ელვის სატევრით)	234
ფრთები ქართული	235
*** (ვარსკვლავთა ოქროს ნისკარტით)	236
*** (სიცოცხლე და სიყვარული)	237
*** (უფალი თუ გამიწყრება)	238

*** (მარადიულ ცას დაეძებ)	239
*** (ვით წინასწარმეტყველი)	240
ბააკა ხერხეულიძე	241
*** (საწუთოს ხარ მძლეველი)	242
*** (ჯერ არ ისმის ხმა კადმოსის)	243
*** (ქაფისგან შობილს)	244
*** (მოულოდნელად...)	245
*** (ჩემს ლოდინში დედაჩემი)	246
*** (პონტოს სანაპიროზე)	247
მესხეთში	248
*** (იქუხა)	249
**** (მეფეთა და ვაზირთა)	250
ქსნის ციხე	251
შავი ზღვა	253
*** (ოვალთაგან ხილული თუ უხილავი)	254

D. J. Gammie



2020.6.

ვაჟა ებრისელი
გოლჩური ფსალმუნები
100 ფოგად
ფოგი 22

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 22

- | | |
|---------------------|-----------------------------|
| გამომცემლობის | |
| რედაქტორი | – ნანა ჭირაძაძე |
| მხატვარი | – სპარტაზ ციცაძე |
| მხატვრული რედაქტორი | – ირაკლი შვერიძე |
| ტექნიკური რედაქტორი | – ნანა ღუმბაძე |
| კორექტორი | – მარი ღოლგაია |
| კომპიუტერული | |
| უზრუნველყოფა | – ნანა და დათო ყადეაშვილები |

გამომცემელი – ზურაბ ღოლგაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. აოლიტაოვსაავას №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com